ზოგადად, ქართული მჭევრმეტყველებითი ტექსტების დახარისხება შეგვიძლია როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროდან მომდინარე რესურსებად, რომლებიც, თავის მხრივ, არა ქართულ, არამედ სხვადასხვა უცხო ენაზე (ძველბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე) დაწერილ ტექსტებადაა შემონახული.

ცნობილია, რომ ქართული მჭევრმეტყველება იცნობს როგორც ორიგინალურ ნიმუშებს, ისე თარგმანებს. ყველაზე მეტი თარგმნილი ნიმუშები მოგვეპოვება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების, იგივე ჰომილეტიკის დარგში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის არის ქართული მჭევრმეტყველების ორგანული შემადგენელი ნაწილი.

ქართული მჭევრმეტყველების თარგმანების კვლევას არცთუ დიდი ადგილი უკავია ქართულ სამეცნიერო სივრცეში. საკითხის

შესწავლის ისტორიის მხრივ, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები არაა ინტენსიურად განხილული და გაანალიზებული ქართულ მეცნიერებაში.

დასასრულ, რომ შევაჯამოთ კვლევის შედეგები, აღმოჩნდება, რომ ქართული მჭევრმეტყველება მდიდარია თარგმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშებით, რასაც სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი განაპირობებდა.

მაია კვირკველია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ტროპული მეტყველება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში

მეოცე საუკუნის 70-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია. ეს ეტაპი დაკავშირებულია პოეტების იმ თაობასთან, რომელმაც გარკვეულწილად განსაზღვრა თანამედროვე პოეზიის ძირითადი ხაზი, უპირველესად – ფორმის თვალსაზრისით. ლია სტურუას, ბესიკ ხარანაულის, მამუკა წიკლაურის, ვახტანგ ჯავახაძის, გურამ პეტრიაშვილის, იზა ორჯონიკიძისა და სხვათა შემოქმედება პოეტური თუ კრიტიკული ტექსტების სახით დღესაც განსაზღვრავს ლიტერატურულ პროცესს. საკითხის კვლევა აქტუალურია იმ მიზეზითაც, რომ საფუძვლიანი ნაშრომი ამ პერიოდის შესახებ შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდით არ გვაქვს. მხოლოდ ცალკეული ავტორების შემოქმედების განხილვა ერთიანი სურათის დასახატად მეტად რთულია. გარდა ამისა, ვერლიბრის, როგორც ამ პერიოდის პოეტური გამოხატვის მთავარი ფორმის, ჩასახვისა და ჩამოყალიბების მიზეზები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არ შესწავლილა და გამოკვლეულა. საკითხის შესწავლა-გაანალიზება უშუალოდ ტექსტებზე დაყრდნობით, არა მხოლოდ ერთი პოეტის, არამედ ამ პერიოდის მთავარ წარმომადგენელთა შემოქმედების შედარება-ანალიზის გზით იქნება ჩვენი კვლევის მთავარი სიახლე. კვლევის შედეგები კი საშუალებას მოგვცემს ნათლად გამოიკვეთოს ის თავისებურებები, რომლებიც 70-იანელთა თაობამ მოიტანა, როგორც **ტროპული მეტყველების (მეტაფორა, შედარება, ეპითეტი და ა.შ.)** ფორმის, ისე თემატიკისა და თეორიული ნააზრების სახით.

თანამედროვე ამერიკული თუ ევროპული პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი სალექსო ფორმა ვერლიბრია, ასევე ძალიან აქტუალურია გენდერული (ქალთა და კაცთა) პოეტური მეტყველების კვლევა პოეზიაში; თემის ფარგლებში სწორედ ამ თემატიკაზე გავამახვილებთ ყურადღებას, კვლევის შედეგები კი მნიშვნელოვანი იქნება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევაში საკითხის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

მარიამ კილანავა, ლოლიტა შენგელია

*ევროპის უნივერსიტეტი /
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ცხოვრებისეულ ასპექტთა ინტეგრირება უცხო ენის სწავლებისას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის საშუალებით

უცხო ენის სწავლების სფეროში არსებულ ტენდენციათა გათვალისწინებით, თანამედროვე მეთოდების ინტეგრირების ძირითად მიზნებს სამიზნე ჯგუფებში არსებულ კონკრეტულ პრობლემათა გადაჭრა წარმოადგენს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რომელიც ერთ-ერთ პოპულარულ მიდგომადაა მიჩნეული, თავისი ძირითადი მახასიათებლებით, მჭიდროდ უკავშირდება კონსტრუქტივიზმის თეორიულ საფუძვლებს (Piaje: 1990, Vigotski: 1978) და ორიენტირებულია შემსწავლელის მხრიდან ცოდნის პრაქტიკული გზით მიღებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მეთოდი შემსწავლელს აძლევს საშუალებას მიღებული თეორიული ცოდნა რეალურ, ცხოვრებისეულ პრობლემებს დაუკავშიროს, ხშირად ის გამოცდილებით სწავლის ცნებასთანაც ასოცირდება (Dewy: 1897).

აღნიშნულ სფეროში არსებულ კვლევებზე დაყრდნობით (Leong, Patrick: 2009, Jaramillo: 2016, Larsson: 2001) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი საშუალებას იძლევა რეალური ცხოვრებისეული ასპექტების გამოყენებით მოხდეს სტუდენტთა შინაგანი თუ გარეგანი მოტივაციის ამაღლება უცხო ენის გაკვეთილზე. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის მათ აქტიურ ჩართულობას სამუშაო პროცესში და, შესაბამისად, შესაძლებელი ხდება უკვე იდენტიფიცირებული პრობლემის ალტერნატიული გზებით გადაჭრა.

მოხსენებაში წარმოვადგენთ იმ კვლევის შედეგებს, რომელიც ევროპის უნივერსიტეტში 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში ინგლი-

სური ენის სწავლების პროცესში განხორციელდა. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი გამოყენებულ იქნა ინგლისური ენის ბ1 დონის ჯგუფთან, რომელიც დაკომპლექტებული იყო 52 სტუდენტით, ერთ ჯგუფში 25 და მეორე ჯგუფში 27 სტუდენტი. აღნიშნული კვლევის საგანს წარმოადგენდა სამიზნე ჯგუფში ინგლისური ენის სასაუბრო უნარების ინტერაქციულ/პროდუქციულ ფორმათა გაუმჯობესება რეალურ ცხოვრებისეულ ასპექტთა ინტეგრირების საშუალებით. სწავლების აღნიშნული მიდგომის ძირითად მახასიათებელთა შეფასება, კონკრეტულ შემთხვევაში, დაკვირვების მეთოდისა და სტუდენტებთან ინტერვიუების საშუალებით გახდა შესაძლებელი, რაც კვლევის შედეგების ფაქტობრივ მონაცემებში აისახა. შესაბამისად, ნაშრომი წარმოადგენს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მაგალითს.

მოხსენება მიზნად ისახავს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის დანერგვის უპირატესობათა ხაზგასმას უცხო ენის სწავლებისას სასაუბრო უნარ-ჩვევათა გაუმჯობესების კუთხით. კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად წაადგება როგორც ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერს, მასწავლებელს, ასევე ზოგადად, სწავლების იმ სფეროს, სადაც ყურადღება გამახვილებულია უცხო ენაზე საუბრის უნარ-ჩვევათა სწავლების პრობლემებზე და მათი გადაჭრის საშუალებებზე.

ლუკა კუჭუხიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუნების ბიფურკაციის პრობლემა ალფრედ ნორთ უაიტჰედის ფილოსოფიაში

მოხსენებაში განხილულია მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის ალფრედ ნორთ უაიტჰედის პროცესუალური ფილოსოფიის სააზროვნო ქვაკუთხედი, რომელსაც შეადგენს ბუნების პრობლემა. ბუნების თემას ფილოსოფიური თვალსაზრისიდან უაიტჰედი პირველად 1920 წელს უახლოვდება ტრაქტატში „ბუნების ცნება“. იგი ერთ-ერთი პირველია, ვინც ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ როგორც აზროვნების პროცესი შეიძლება იყოს გაცნობიერებული (მე ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ ვაზროვნებ), ასევე თავად შთაბეჭდილებებსაც

(გრძნობად მოცემულობებს) აღქმის პროცესში დაჰყვებათ უნიკალური სახის ცნობიერება (awareness). არა კოგნიტიური, არამედ გრძნობადი. სწორედ გრძნობადი ცნობიერება ინვესს ჩვენში ბუნების სრულყოფილი მოვლენადობის განცდას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, თავისი ინტერესების გათვალისწინებით, გრძნობადი ცნობიერების ობიექტი აინტერესებთ, მაგრამ არა თავად გრძნობადი ცნობიერება. უკვე ამ ფორმით დასმული საკითხი, უაიტჰედის მიხედვით, ბუნების ორად გახლეჩის საფრთხის წინაშე გვაყენებს: ბუნებად, რომელიც წვდომილია ცნობიერების მიერ, და ბუნებად, რომელიც ცნობიერების გამომწვევი მიზეზია. ამ ფილოსოფიურ ფიქციას უაიტჰედი „ბუნების ბიფურკაციის“ თეორიად ნათლავს, რომლის არსშიც განთავსებულია დოქტრინა პირველადი და მეორეული თვისებების შესახებ. ბუნების ორ რადიკალურად გამიჯნულ სივრცედ, სუბიექტურად და ობიექტურად მოაზრებულ სისტემებად დაყოფის პარადიგმა. ბიფურკაციის ფუნდამენტური პრობლემა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი თანამედროვე სამყაროს ეკოლოგიური კრიზისის გამოისობით ხდება. ჩვენი დრო სულის კრიზისს, უწინარესად, სწორედ ეკოლოგიური კატასტროფიზმის ფორმით ავლენს. იმედს ვიტოვებ, რომ ეს კონკრეტული კვლევა ხელს შეუწყობს ეკოლოგიური პრობლემების უფრო ფართო ჭრილში განხილვის პროცესს. უაიტჰედის ფილოსოფიის პერსპექტივიდან ამ თემის დავინყება თავად დასავლური აზროვნების იმანენტური მახასიათებელია. მისი ისტორიის წარმოდგენა კი შეუძლებელი ხდება ამ უარყოფის გათვალისწინების გარეშე. მოაზროვნე გვიჩვენებს, რომ გამიჯვნა ხელოვნური ხასიათისაა და არა ბუნებითი ფორმის. იგი მოდერნული გამოგონებაა. იმის თქმაც არ იქნება გადამეტებული, რომ ყოველი კონკრეტული აზრობრივი ოპერაციის შესრულებისას, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამყარო ორად იყოფა და გარდაიქმნება რადიკალურად გამიჯნულ, კონცეპტუალურ ნახევარსფეროებად, (ერთი მათგანი სამყაროს ძირეული და ფუნდამენტური კანონებითაა აღჭურვილი. მას ასეთად მხოლოდ მეცნიერება იცნობს. მეორე მათგანი კი წარმოგვიდგება როგორც ფასეულობათა კრიტერიუმით აღვსილი სინამდვილე, ან, სხვაგვარად თუ ვიტყვით, გონის საუფლო, კონცეპტუალურად დამუხტული სივრცე), თავად ვიღებთ თანამონაწილეობას ბუნების გახლეჩაში. ჩვენ თავად მოვუწოდებთ მას ბიფურკაციისაკენ.

თინათინ ლეკიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შუასაუკუნეობრივი აზროვნების ერთიანი სტრუქტურა და მოვლენათა ჰიპერბოლიზაცია ქართულ საერო ლიტერატურაში

შუასაუკუნეების სასულიერო ლიტერატურაში უხვად მოიპოვება სასწაულის მაგალითები, რომლებიც უფლის ძალით აღესრულება. აგიოგრაფიულ ძეგლებში წმინდანი უდიდეს სულიერ საფეხურზე წარმოგვიდგება. მას ისევე ხელენიფება სასწაულთა აღსრულება, როგორც თავად უფალს, რადგან ყოველი წმინდანი თავისი ღვანლით იმეორებს გზას მაცხოვრისას, რომლისაგანაც ენიჭება ეს სასწაულთმოქმედების ძალა.

საერო ლიტერატურაში სასწაული, როგორც ღმერთის ქმედება, იშვიათად ჩანს, მაგრამ სასწაულებრივია პერსონაჟთა გმირული ქცევა თავისი ჰიპერბოლური ხასიათით. ასე რომ, ამგვარი ჰიპერბოლიზაცია ნაწილობრივ საფუძველს იღებს ადრინდელი ლიტერატურული ტრადიციიდან, სასულიერო მწერლობის სასწაულებიდან.

ქართული კლასიკური პერიოდის მწერლობა სამი ნაწარმოებითაა ცნობილი: „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, რომლებშიც სასწაული განსხვავებული სახით შემოდის. საერო მწერლობის განვითარების კვალდაკვალ ეს ახალი ტიპის სასწაული, ანუ პერსონაჟის ჰიპერბოლური ქმედება, თანდათან რეალურობისაკენ მიისწრაფვის, გონივრული, რაციონალური დასაბუთების ელემენტებით შეივსება. ამიტომ, საერო მწერლობის პერსონაჟთა მიერ აღსრულებულ სასწაულებში მთავარი ადგილი მათ პიროვნულ ძალას ენიჭება. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „ვეფხისტყაოსანი“. რუსთველის პოემა შეიძლება ჩაითვალოს იმ ტიპის ნაწარმოებად, რომელიც რეალისტური ხედვის მხატვრული გამოხატვის მხრივ აშკარად წინ უსწრებს ამავე პერიოდის დასავლურ ნაწარმოებებს.

როგორც კვლევამ აჩვენა, განსხვავებით აგიოგრაფიული ნაწარმოებების სასწაულებისაგან, საერო მწერლობის ნიმუშებში, კონკრეტულად კი – „ვეფხისტყაოსანში“, სასწაულს გმირი აღასრულებს არა ლოცვითა და მარხვით, არამედ საკუთარი, ადამიანური ძალით, მაგრამ „ამირანდარეჯანიანისაგან“ განსხვავებით, არის ცდა ამ ადამიანური ძალის მოტივირებისა, იმის ახსნისა, თუ

როგორ სძლია ამ ადამიანურმა ძალამ მტერს. პოემაში ახსნილია, თუ როგორ ხდება ესა თუ ის სასწაული.

დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს შუასაუკუნეობრივი აზროვნების ერთიანი სტრუქტურა, რაც გამოიხატება მოვლენათა ჰიპერბოლიზაციით. სასწაულები, რომლებიც გვხვდება პოემაში, აღესრულება დიდი რწმენით და, ამასთანავე, გონივრული განსჯითა და აქტიური ქმედებით, მაგრამ ეს ყველაფერი ჰიპერბოლიზირებულია, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული გვაქვს აგიოგრაფიული სასწაულების თავისებური ტრანსფორმირება.

ეკატერინე მაისურაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის შენარჩუნების მთავარი მარკერი

ოსმალთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიტაცება დიდი ტრაგედია იყო სრულიად საქართველოსთვის. სამშობლოს მოსწყდა თავისი ტერიტორიისა და მოსახლეობის ერთი მესამედი. დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ხალხში მშობლიური ენა, ქრისტიანული რელიგია, ზნე-ჩვეულებანი. ქართველების გათურქებისათვის ოსმალები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ.

ენტონის სმიტის „ნაციონალური იდენტობის“ მიხედვით, ეთნიკური ჯგუფი კულტურული ერთობლიობის ის სახეობაა, რომელიც ხაზს უსვამს წარმომავლობის შესახებ მითებისა და ისტორიული მეხსიერების როლს და რომელიც ერთი ან რამდენიმე განმასხვავებელი ნიშნით ამოიცნობა. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს რელიგია, წეს-ჩვეულებები, ენა ან ინსტიტუციები. ასეთი კოლექტივები ორმაგად „ისტორიულნი“ არიან. ისტორიული მეხსიერება მათი არსებობის გაგრძელების მთავარი პირობაა.

ენისა და დამწერლობის გარკვეული ღირებულებების გააზრების თვალსაზრისით, მოხერხდა ქართული იდენტობისა და ეთნიკურობის საერთო განცდის შენარჩუნება აჭარის მუსლიმ ქართველებში. ქართული იდენტობის ეს მტკიცე მარკერი, დედა ენა, იქცა

სწორედ ქართული იდენტობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ინდიკატორად ქართველ მუსლიმებში. აქ მცხოვრები ქართველები-სადმი განხორციელებულმა ძალადობრივმა აქტებმა კი არ გააქრო საერთო ეთნიკური ცნობიერება, პირიქით, გაამყარა ერთსულოვნება და ხელი შეუწყო ცნობიერების კრისტალიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა შეძლეს ისლამის გავრცელება ამ რეგიონში, თავის მიზანს ვერ მიაღწიეს, მოსახლეობის გათურქება ვერ შეძლეს.

ჩემი მოხსენების მიზანს წარმოადგენს სწორედ იმ საკითხის გაშუქება, თუ როგორ შეძლო აჭარის მოსახლეობამ მშობლიური ქართული ენის შენარჩუნება მაშინ, როდესაც ოსმალო დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ აქ ისლამის გავრცელებას და მოსახლეობის მთლიანად გათურქებას. მოხსენებაში განვიხილავ იმ ადამიანების ღვაწლს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ამ უდიდეს ეროვნულ საქმეში. ეს ადამიანები იყვნენ ადგილობრივი გამუსლიმებული ქართველები, ზოგჯერ ხოჯებიც კი. ამას ადასტურებს ქართული ასოებით თურქულად დაწერილი დოკუმენტები, ასევე ხოჯების დიდი ძალისხმევით ქართულად შედგენილი ყურანის სახელმძღვანელო იმ მოტივით, რომ მშობლიურ ენაზე უკეთ ისწავლიდნენ.

აჭარის რეგიონში ქართული ენის შენარჩუნების საკითხს განიხილავენ პავლე ინგოროყვა, ზაქარია ჭიჭინაძე, ხარიტონ ახვლედიანი და სხვა ისტორიკოსები თავიანთ ნაშრომებში. ამ ფაქტსვე ადასტურებენ თედო სახოკია, გიორგი ყაზბეგი თავიანთი მოგზაურობის აღწერისას. ქართული ენის შემდგომი შენარჩუნება-განმტკიცების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მემედ აბაშიძემ, ასევე თავად ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც ხელს უწყობდნენ აჭარის რეგიონში ქართული სკოლების გახსნას.

მოხსენების დაწერისას გამოვიყენე ამ საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, საარქივო მასალა, მოგონებები, აგრეთვე პერიოდიკაში დაბეჭდილი სტატიები.

ანი მალაკელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„გიორგობისთვე“ – მხატვრის მინიმალისტური ხედვა (მხატვარი დიმიტრი ერისთავი)

კინომხატვრის ფუნქციის, მისი შინაარსობრივი და ფორმისეული ძიებების წარმოსაჩენად ქართული კინოს გარდატეხის პერიოდის მრავალი ნიმუში ხდება კვლევის საგანი, თუმცა მინიმალიზმიდან მდიდარ პირობით სივრცემდე არსებულ გზაზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხელოვანი დიმიტრი ერისთავია.

დიმიტრი ერისთავის ნამუშევარი ფილმში „გიორგობისთვე“ თემატური და დრამატურგიული ფორმის მძაფრი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა. ესკიზებში გამოკვეთილი ხედვა საშუალებას გვაძლევს, ამოვიცნოთ კონცეპტუალური გააზრებაც და სრული ქმედითი სივრცეც, თავისი რაკურსით და პერსპექტივის შეგრძნებით. დიმიტრი ერისთავის კინომხატვრობა თავისთავად იპყრობს ყურადღებას საავტორო მიდგომით, ერთგვარ პლასტიკას ეძებს და ქმნის იქ, სადაც გარემო სრულიად ბუნებრივია. მინიშნება და მინიმალიზმი თავად მხატვრისა და რეჟისორის მხატვრული პირობაა. მოხსენებაში მაგალითებად განიხილება დირექტორის კაბინეტის, ნიკოს სახლის დიდი ოთახის ესკიზები, ასევე ეპიზოდები. მხატვრის მიერ ინტერიერში თითქოს უბრალოდ „აღმოჩენილი“ დეტალები არავითარი ძალდატანებითი აქცენტით არ გამოირჩევა.

„გიორგობისთვე“, როგორც მინიმალისტური მხატვრული სახვითი გადანწყვეტის მატარებელი ფილმი, დღემდე რჩება კინომხატვრის რეალიზმისადმი დამოკიდებულების მაგალითად. ამ ფილმში მხატვრის ნამუშევარი ერთდროულად მინიმალისტური და, ამასთანავე, ძალიან მეტყველია სინამდვილის მხატვრული ინტერპრეტირების მიმართულებით, რაც ფილმის ირგვლივ არსებულ კვლევებსა და დღევანდელ მიდგომებში კინომხატვრის ფუნქციისადმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ნინო მესხი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

დოსტოევსკის «Сон смешного человека» ქართულ ენაზე

ქართულ ენაზე გვაქვს დოსტოევსკის ნაწარმოების – «Сон смешного человека» სამი განსხვავებული თარგმანი: 1. „სასაცილო კაცის სიზმარი“ (ფანტასტიკური მოთხრობა) – თარგმნა **გივი ცქიტიშვილმა** (უ. „საუნჯე“, 1981, №2); 2. „სასაცილო კაცის სიზმარი“ (ფანტასტიკური მოთხრობა) – თარგმნა **ზაზა ბურჭულაძემ** (უ. „ახალი თარგმანები“, 2005, №5); 3. „სასაცილო ადამიანის სიზმარი“ (ფანტასტიკური მოთხრობა) – თარგმნა **ირაკლი თორიამ** (ინტერნეტრესურსი, Posted: 21/12/2013 in თედორე დოსტოევსკი). ნაშრომში დედანთან მიმართებაშია განხილული სამივე თარგმანი. კვლევა ეფუძნება დოსტოევსკის შემოქმედების უახლეს გამოკვლევებს და თარგმანის თეორიის თანამედროვე პრინციპებს. დოსტოევსკის ეს ნაწარმოები ეხმაურება დღევანდელობას და საკმაოდ აქტუალურია.

სამივე მთარგმნელთან დოსტოევსკის სახელი ჟღერს სხვადასხვანაირად: გივი ცქიტიშვილთან – **ფიოდორ** დოსტოევსკი; ზაზა ბურჭულაძესთან – **თეოდორ** დოსტოევსკი; ირაკლი თორიასთან – **თედორე** დოსტოევსკი. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (თბ., 1978, ტ. 3) წერია – თედორე დოსტოევსკი; საქართველოს ეკლესიის კალენდარში (თბ., 1975) ანბანის რიგზე ქართული თარგმანით ჩამოთვლილ წმიდათა სახელებში წერია: თეოდორე – ნიჭი ღვთისა; ვ.თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის ავტორობით გამოცემულ ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში (თბ., 1968) მოცემულია ამ სახელის პარალელური ფორმები: თედორე/თევდორე. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ საკუთარი სახელების ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემებზე და გამოვხატოთ ჩვენს პოზიცია.

დოსტოევსკის ეს ნაწარმოები განსაკუთრებით საინტერესოა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მისი სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით იგი არ არის მდიდარი პერსონაჟებითა და დიალოგებით. აქ არის მთავარი გმირის მონოლოგი, რომელშიც მისი ფსიქოლოგიური გარდასახვა და მრწამსია გამოხატული. ქართული თარგმანების ამ თვალსაზრისით განხილვისას ვეყრდნობით თარგმანის ფსიქოლოგიას და გამოვხატავთ ჩვენს თვალსაზრისს.

დოსტოევსკის ნაწარმოებთა და კერძოდ ამ ნაწარმოების თარგმნაც ლექსიკური თვალსაზრისით მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. მწერალი თავისი ეპოქის, თავისი ერის წარმომადგენელია, რაც მის ლექსიკაში აისახება ხშირად ცოცხალი მეტყველების სახით და სულაც არ არის ადვილი გადასატანი სხვა ენაზე. მთარგმნელმა უნდა გაიგოს და თარგმნოს ის, რაც ხშირად თანამედროვე რუსი მკითხველისთვისაც არ არის ბოლომდე გასაგები. ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა ქართული თარგმანების განხილვა.

სოფიო მოდებაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მუსიკა და ადორნოს „ნეგატიური დიალექტიკა“

მოხსენების მიზანია ადორნოს „ნეგატიური დიალექტიკის“ განხილვა, კერძოდ, ის, თუ რატომ უნოდა ადორნომ ახალ მუსიკას უარყოფელი მუსიკა და როგორ განსაზღვრავს იგი ახალი მუსიკის არსსა და დანიშნულებას სამყაროსთან მიმართებით.

პირველ რიგში, განხილულია ადორნოს „ნეგატიური დიალექტიკის“ გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური ასპექტები, რომლის საფუძველზეც განვიხილავთ ადორნოს მიხედვით ახალი მუსიკის ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას.

თემა აქტუალურია, რადგან მუსიკის ფილოსოფიური არსის კვლევა არის ის საფუძველი, რომელზეც დგას მუსიკალური აზროვნება.

როგორც ცნობილია, ადორნო სინამდვილეს განიხილავს არა მყარ მოცემულობად, დასრულებულ სისტემად, მთლიანობად, არამედ ნეგაციის, დესტრუქციულის შემცველად. იმისათვის, რომ გამოაშკაროს თანამედროვე სამყაროს დისჰარმონიული და შეუთანხმებელი წინააღმდეგობები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნეგატიურ დიალექტიკას იმ აზრით, რომ ამ უკანასკნელს ყოველ პოზიტიურში „ყალბი ჭეშმარიტების“ აღმოჩენის როლი ეკისრება. მისთვის ფილოსოფიური აზროვნება, ხელოვნება, კულტურა, სოციალურის ყოველგვარი პოზიტიურობა შეფასებულია „მოჩვენებით დადებითად“, რომლის ნეგაცია აუცილებელი ხდება. ასე იძენს ნეგატიური დიალექტიკა წამყვან უნივერსალურ მნიშვნელობას.

ადორნო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხელოვნებაზე, კერძოდ, კლასიკურ მუსიკაში ნეგაციის განწყობილების დანერგვაზე. იგი ახალს უწოდებს უარყოფელ მუსიკას და აღნიშნავს, რომ უარყოფითმა თავისებურებებმა ძირს დასცა და რეგრესის გზით წარმართა „მუსიკალური შემოქმედება“ და მუსიკის მოსმენის კულტურა დაიყვანა დიალექტიკის აბსოლუტიზაციის და ყველგან აზროვნებაში და სოციალურ ყოფაშიც უარყოფის, ნეგაციის წარმართველი როლი დაეფიქსირებინა.

ამრიგად, მსჯელობს რა ახალი მუსიკის ფილოსოფიის საკითხებზე, ადორნო სვამს საკითხს მუსიკაში „დამკვიდრებისა“ და „უარყოფის“ ახლებური დიალექტიკის შესახებ. ადორნოსათვის დამკვიდრება დამახასიათებელია იმ მუსიკისთვის, რომელიც ჰარმონიის, რწმენის, მარადიული ღირებულებების მატარებელია, ხოლო ახალს უწოდებს უარყოფელ მუსიკას. მისი აზრით, „ახალი მუსიკის“ ცნებასთან შეუთავსებელია პოზიტიური ტონი – არსებულის დამკვიდრება საკუთარ მოცემულობაში. ახალი მუსიკა, რომელშიც უპირატესობა ენიჭება დისონანსს, აღიქმება ბგერების უწესრიგო მოზღვავებად, როგორც შეუკავებელი ქაოსის გამოხატულება. ამით ახალი მუსიკა გამოხატავს თანამედროვე სამყაროს დისჰარმონიულობასა და ფრაგმენტულობას. ადორნო მიიჩნევს, რომ მუსიკის მსგავსად ფილოსოფიამ, თუკი მას მართლაც დროის ფეხდაფეხ სურს სიარული, საკუთარ წარსულთან კავშირი უნდა განწყვიტოს იმისათვის, რომ გამოააშკაროს სამყაროს დისჰარმონიული და შეუთანხმებელი წინააღმდეგობები.

ივანე მჭედელაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ლიტერატურული პროცესის კომუნიკაციური კონტექსტები: ძველი ქართული მწერლობის რეცეფცია უკრაინულ ორიენტალისტიკაში

თანამედროვე ლიტერატურული კომპარატივისტიკის კვლევათა ინტერდისციპლინურ სპექტრში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს განსხვავებულ კულტურათა კომუნიკაციის ისტორია და თეორია. კულტურათა ურთიერთქმედების მრავალმხრივი პროცესი აყალიბებს წარმოდგენას უცხო/სხვის ეთნოკულტურული სახის შესა-

ხებ, რომელიც გარდაიქმნება სტერეოტიპებად თუ მითებად. აღიარებულია, რომ ლიტერატურული მასალა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია უცხო სახის აღქმის თვალსაზრისით.

მოხსენებაში განვიხილავ ძველი ქართული მწერლობის რეცეფციის პარადიგმებს მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის უკრაინულ ორიენტალისტიკაში.

მოუხედავად იმისა, რომ მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევას, ჩვენ მიერ შერჩეული პრობლემა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მიზეზი აქ სხვადასხვაა: უკრაინელ მეცნიერთა ნაშრომებში ქართული მწერლობის რეცეფციის საკითხები გაშუქებულია უკრაინული მასალებისა და უკრაინული ლიტერატურის პოზიციებიდან. საქართველოში შექმნილ კვლევებშიც დომინანტურია მხოლოდ ემპირიული მასალა. მეცნიერული ანალიზისათვის მნიშვნელოვანია თანამედროვე თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფციების მისადაგება.

1980-იანი წლებიდან უკანასკნელ პერიოდამდე დარგის ავტორიტეტული მკვლევრების – ო. ბაქანიძის, ალ. მუშკუდიანის, ლ. გრიცის მიერ შექმნილმა ნაშრომებმა დიდი დახმარება გაამინია საკითხის ფართო კომპარატივისტულ და კულტუროლოგიურ ძირში გასაანალიზებლად. ამ ავტორების თითოეულ ნაშრომში ფრაგმენტული სახით მოძიებულმა მასალამ საშუალება მომცა პრობლემა დამეჯგუფებინა ერთი საკითხის გარშემო და გამეანალიზებინა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის აღქმის საკვანძო საკითხები უკრაინულ ლიტერატურულ პროცესში. დასახელებულ ავტორთა ნაშრომებში მხოლოდ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია ქართული ლიტერატურის რეცეფციის მეტად ფართო სპექტრი.

ლიტერატურათა ურთიერთობის თეორიის სემიოტიკურ ასპექტებში მეცნიერები (ი. ლოტმანი და სხვ.) ყურადღებას ამახვილებენ თუ რატომ და როგორ ხდება კულტურულ ვითარებაში უცხო ტექსტი აუცილებელი. შესაბამისად, მოხსენებაში გავანალიზებ ძველი ქართული მწერლობის ფუნქციონირების კულტუროლოგიურ და მეთოდოლოგიურ პრობლემებს უკრაინულ ორიენტალისტურ კვლევებში.

ქართული ლიტერატურის მკვლევრებად გვევლინებიან აღიარებული უკრაინელი მეცნიერები. ჯერ კიდევ მე-19 ს.-ის დასასრულს, მ. დრაგომანოვს ეკუთვნის პირველი კვლევა „სიბრძნე-სიცურუისას“ შესახებ. ქართული მწერლობის შესწავლის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა 1893 წელს ი. ფრანკოს ვენაში დაცული დისერტაცია „ვარლაამი და იოასაფი, ძველი ქრისტიანული რომანი

და მისი ლიტერატურული ისტორია“⁴. ი. ფრანკოს ნაშრომში ჩანს, რომ მეცნიერი არაერთგზის მიმართავს ქართულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას.

საკვლევმა მასალამ აჩვენა, რომ ძველი ქართული მწერლობის აღქმის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, აგათანგელ კრიმსკის, ნაშრომები და მისი მდიდარი არქივი. ა. კრიმსკი შეინაგლის ქართულ საისტორიო მწერლობას, ჰაგიოგრაფიას, საქართველოს ისტორიის აღმოსავლურ წყაროებს და ა.შ. მოხსენებისთვის დავამუშავე მის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ხელნაწერები, ეპისტოლური მასალა (ქართველი მეცნიერების წერილები და ა.შ.). ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს ასევე ა. კრიმსკის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ნიზამი და მისი თანამედროვენი“ ქართული მასალის კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემების განხილვა.

საკითხის თეორიული ანალიზისათვის ასევე ვიყენებ კულტურის კვლევათა ისეთ ცნებებს, როგორებიცაა – იდენტობა, ნაციონალური ლიტერატურული კანონი, ორიენტალიზმი, დასავლეთი/აღმოსავლეთი.

თამარ ნამგლაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

საბჭოთა იდენტობის პოლიტიკა და საბავშვო მხატვრული ლიტერატურა (ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ მაგალითზე)

იდენტობის პოლიტიკის შესწავლა, ზოგადად, მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია. ის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როდესაც საქმე ეხება იდენტობის მიზანმიმართულ ჩამოყალიბებას გარკვეული იდეოლოგიების ზეგავლენით. საბჭოთა კავშირის იდენტობის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი თვისობრივად ახალი ადამიანის – ჰომოსოვიეტიკუსის ჩამოყალიბება იყო. ამ კუთხით ზემოქმედებისთვის განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს ბავშვები წარმოადგენენ. შესაბამისად, შემუშავებული უნდა ყოფილიყო ამ კონკრეტულ ჯგუფზე ზეგავლენისა და იდენტობის ფორმირების ეფექტური მეთოდები. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული იდენტობის პოლიტი-

კის შესწავლა საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების საფუძველზე – ზეგავლენისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა და იმ მეთოდების გამოკვეთა, რომლებიც ზემოქმედების მიზნით გამოიყენება. განსაკუთრებით მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველია ერთი და იმავე ნაწარმოების რამდენიმე რედაქციის შედარება.

მოცემულ კვლევაში შესწავლილია ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ ორი რედაქცია. გამოკვეთილია ზემოქმედების კუთხით მნიშვნელოვანი საკითხები და ზეგავლენის მეთოდები. ხაზგასმულია განსხვავებები ორიგინალ და რედაქტირებულ ტექსტებს შორის. კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს სტრუქტურალიზმი, ხოლო მეთოდს – ნარატივის ანალიზი. კვლევის აქტუალურობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მომავალი თაობის იდენტობის ფორმირება ყოველი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია.

თათია ობოლაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

არქეტიპული კრიტიკა: ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები

არქეტიპული კრიტიკა, როგორც მხატვრული ტექსტის კვლევის მეთოდი, პირველად გამოიყენა ბრიტანელმა ლიტერატურათმცოდნემ, ემი მაოდ ბოდკინმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „არქეტიპული მოდელები პოეზიაში: წარმოსახვის ფსიქოლოგიური კვლევა“ (1934). გასული საუკუნის 40-50-იან წლებში კი კანადელი მეცნიერის, ნორტროპ ფრაის „კრიტიკის ანატომიის“ გამოქვეყნების შემდეგ არქეტიპული კრიტიკა ლიტერატურის კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად იქცა. სამეცნიერო ლიტერატურაში არქეტიპული კრიტიკა ხშირად მითოლოგიური კრიტიკის სინონიმად იხმარება და დღემდე აქტიურად გამოიყენება მხატვრული ტექსტის ანალიზისას (არქეტიპული კრიტიკა სამართლიანად ითვლება „ვიზიონალური“¹ ტიპის ტექსტების კვლევის უნივერსალურ მეთოდს).

¹ კარლ გუსტავ იუნგის ტერმინი. ვიზიონალური (**visionary**) ტექსტის საუკეთესო მაგალითად ასახელებს გოეთეს „ფაუსტი“-ს მეორე ნაწილს (*Modern Man in Search of a Soul*. Routledge Classics. 2001, p. 160)

დად). საკმარისია დავასახელოთ ფრანგული სკოლა – პიერ ბრუნელისა (Mythocritique 1992; Mythopoetique des genres, 2002) და ვერონიკ ჟელის ნაშრომები (Mythes et recits poetique? 1998).

არქეტიპული კრიტიკა დაეფუძნა სოციალური ანთროპოლოგიისა (კემბრიჯის სკოლა – ჯეიმს ფრეიზერი) და ფსიქოანალიზის (კარლ გუსტავ იუნგი) უახლესი კვლევების შედეგებს, იგულისხმება კემბრიჯის სკოლის წარმომადგენლის ჯეიმს ფრეიზერის თეორია განსხვავებულ კულტურებში მსგავსი მითებისა და რიტუალების არსებობის შესახებ (სიკვდილისა და ხელახალი დაბადების მითი) და კარლ გუსტავ იუნგის მიერ კოლექტიური არაცნობიერის, არქეტიპების კვლევას.

უნივერსალური სახე-ხატები განსაზღვრავენ ლიტერატურული ნაწარმოების ფორმასა და ფუნქციას, მათში იკვეთება ტექსტის არსი. შესაბამისად, მხატვრულ ტექსტში განმეორებადი არქეტიპების, არქეტიპული მოტივების კვლევა საშუალებას გვაძლევს, უნივერსალური სახე-ხატების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე შევისწავლოთ და ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ მსოფლმხედველობრივ კონტექსტში შექმნილი ტექსტები და დავადგინოთ მათი ურთიერთმიმართების საკითხი.

ჩვენი მოხსენების მიზანია, განვიხილოთ არქეტიპის ემოციური, ეთიკური და სოციოკულტურული რაობა და შევადაროთ არქეტიპული კრიტიკის ტრადიციული (ემი მაოდ ბოდკინი და ნორთროპ ფრაი) და თანამედროვე (ფრანგული სკოლა – პიერ ბრუნელისა და ვერონიკ ჟელის) თეორიები. დასახელებულ მეცნიერთა ფუნდამენტური ნაშრომების, მათი თეორიების, პოსტულატების გათვალისწინებით დავადგინოთ, ერთი მხრივ, არქეტიპული კრიტიკის განვითარების ხაზი, მეორე მხრივ კი განვსაზღვროთ, რა ფაქტორები განაპირობებს თეორიის სიცოცხლისუნარიანობას და რა როლი და ფუნქცია ეკისრება მას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში.

ეკა ორაგველიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიყვარული დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით

სიყვარული დავით გურამიშვილის შემოქმედებაში აღიქმება, როგორც არა მხოლოდ ადამიანური ლტოლვა, არამედ, უპირველესად, ღმერთთან მიახლოების გზა. ამდენად, პოეტისთვის იგი უნივერსალური ფენომენია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ანტიკური, ქრისტიანული და რენესანსული შეხედულებები მიჯნურობის შესახებ და დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის მათთან მიმართება.

მიჯნურობა „დავითიანში“ წარმოიჩენილია, როგორც საღვთო ტრფობის გამოხატულება. შესაბამისად, სიყვარულის ობიექტი, ქალი, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ორგვარად არის მოაზრებული: ქალი, – შუამავალი, მედიატორი კაცსა და ღმერთს შორის და ქალი, – განსახიერება ღვთაებისა. აღნიშნული ორი თვალსაზრისი დაფუძნებულია ანტიკურ და ქრისტიანულ შეხედულებებზე; აგრეთვე მსგავსი კონცეპტები მოცემულია შუასაუკუნეების, რენესანსისა და ბაროკოს ეპოქათა ლიტერატურულ ნიმუშებში. განხილული მაგალითების საფუძველზე საინტერესოდ იკვეთება პოეტის მსოფლმხედველობის მათთან ტიპოლოგიური მიმართების მოტივები. „ზუბოვკის“ ანალიზმა ცხადყო, რომ სატრფოში ალეგორიულად აგრეთვე იგულისხმება ქრისტი და გამოხატულია ღირსიკული გმირის ღვთაებრივ სიყვარულთან თანაზიარების სურვილი.

ავტორისთვის საღვთო მიჯნურობა მეტაფორულად „ნათლისადმი ტრფიალითა“ გამოხატული: „ნათლისა გავხდე მიჯნური“... – ნერს პოეტი. აქ საუბარია უშუალოდ უფლისადმი სიყვარულის შესახებ, რომელიც დავით გურამიშვილთან „მზეთა-მზისადმი“ ლტოლვად აღიქმება. ღირსიკული გმირის „მზის მოტრფიალები“ ამყარებს გამოთქმულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ზუბოვკაში“ გადმოცემული ამბავი არა მხოლოდ სატრფიალო ურთიერთობის ამსახველი სცენაა, იგი, უპირველესად, კაცისა და ღმერთის სიყვარულის ჰიმნად ითვლება.

სიყვარულის გვირგვინად დავით გურამიშვილი ქორწინებას მოიზარებს. ეს იდეა პოეტის იგავურ-ალეგორიული პოეზიის პრინციპებზეა დამყარებული. „დავითიანის“ ფინალურ ნაწილში მოცემული პოემა „მხიარული ზაფხული“ ქადაგებს ქალვაჟური ურთიერთობის

ჯვრისწერით დაგვირგვინებას, აგრეთვე პოემა საღვთო ქორწინების ჰიმნად მოიაზრება. პოემის სათაური კაცის ღმერთთან შერიგების სიხარულსა და სულიერ განახლებას გულისხმობს; საინტერესოა აგრეთვე ნაწარმოების პირობითი სახელდებაც („ქაცვია მწყემსი“). პოემის მიხედვით, ქაცვი, ეკალი, საკრალურ მნიშვნელობას იძენს და საღვთო ნების აღსრულების სიმბოლოდ იქცევა.

პოემის მთავარი იდეალი – ქალვაჟური ლტოლვის ქორწინებით დაგვირგვინება – აღიქმება, როგორც ცოდვებისგან განწმენდილი ადამიანის სიყვარულის გზით ღვთის საუფლოში დაბრუნების ალეგორია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პოეტის ლირიკული გმირის პერსონაჟთა სახეებში ჩანაცვლების მაგალითები, რაც ავტორის თვითშეგნების და პიროვნული „მეს“ დამკვიდრების სურვილითაა ნაკარნახევი.

„დავითიანში“ წარმოდგენილია ღვთაებრივი წესრიგით აღდგენილი სამყაროს დავით გურამიშვილისეული მოდელი, რომელიც აბსოლუტურად ემყარება ქრისტიანულ მოძღვრებას „ახალი აღთქმის ადამიანის“ – ღმერთთან სიყვარულით შერიგებული კაცის – შესახებ და პარალელს პოულობს როგორც წინამორბედის (რუსთაველი), ისე პოეტური მემკვიდრის (ვაჟა-ფშაველა) შემოქმედებაში.

ნინო პოპიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ქართულ-ოსური ლიტერატურული, ლინგვისტური და საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში

ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარება, რომელიც, სავარაუდოდ, ძვ. წ. აღ. მე-4 საუკუნიდან იწყება, მოიცავს მრავალ ეპოქას.

მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ქართულ-ოსური ლიტერატურული, ლინგვისტური და საგანმანათლებლო ურთიერთობები. ამ კუთხით აღსანიშნავია შემდეგი ასპექტები:

1. ოსური ანბანის შექმნისა და განვითარების ტენდენციები;
2. იოანე იალღუზიძე და მისი წვლილი ქართულ-ოსურ ლიტერატურულ და ლინგვისტურ ურთიერთობებში;

3. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ და ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობები;
4. კოსტა ხეთაგუროვი და ქართული სკოლის დაარსება ვლადიკავკაზში და სხვ.

აღსანიშნავია ის მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობები, რომელიც მიმდინარეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, მთიელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველოში დაიწყო სამრევლო სკოლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სკოლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. სწავლების ენა იყო რუსული და ქართული, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, აფხაზებითა და ოსებით დასახლებულ ადგილებში ისწავლებოდა აფხაზური და ოსური ენებიც.

მოხსენებაში ვისაუბრებთ იმ ლიტერატურულ, საგანმანათლებლო და ლინგვისტურ საკითხებზე, რაც აღნიშნულ პერიოდში ქართულ-ოსურ ურთიერთობებში დასტურდება.

ნინო ჟვანია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჯემალ ქარჩხაძის რომან „მდგმურის“ თარგმნისას წარმოჩენილი სირთულეები

ცნობილი ქართველი მწერლის, ჯემალ ქარჩხაძის რომანი „მდგმური“, რომელიც ეკუთვნის მაგიურ რეალიზმს, ითარგმნება პრაგმატული, ადეკვატური, არასრული თარგმანით, რაც იმას ნიშნავს, რომ თარგმანი შეესაბამება ორიგინალს და გამოხატავს იმავე კომუნიკაციურ მიზანდასახულობებს, რასაც ორიგინალი, და ასევე იმასაც, რომ თარგმანი გადმოსცემს ორიგინალის აზრობრივ შინაარსს თავისი გამოტოვებებითა და შეკვეცებით.

მთარგმნელის მთავარი მიზანი და სურვილი იყო გაეცნო რუსულენოვანი მკითხველისთვის მწერლის ნაწარმოები, შეძლებისდაგვარად, ეჩვენებინა მისთვის ქართული ენის მთელი კოლორიტი, ქართული რეალობა. მოხსენებაში განხილული იქნება თარგმანის ის სირთულეები, რომლებიც შეხვდა მთარგმნელს და ამ მიმართულებით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზები.

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ენიდან თარგმნის დროს, ყველაზე რთული აღმოჩნდა ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების, ანუ იმ მყარი გამოთქმების თარგმნა, რომლებსაც მთარგმნელი ჩიხში შეჰყავს: ან გადათარგმნოს ორიგინალთან ყველაზე მეტად მიახლოებული სიტყვებით, ან სიტყვებით, რომლებიც ყველაზე მეტად გადმოსცემენ ამა თუ იმ გამოთქმის აზრს. მაგალითად, ირონიულად ნათქვამი ფრაზისთვის – „თქვენც არ მომიკვდეთ!“ – მეტ-ნაკლებად შესატყვისი თარგმანის შერჩევას საკმაოდ დიდი ხანი მოევუნდით. საბოლოოდ, რუსულ ენაში აღმოჩნდა ფრაზა „Ишь-ты!“, რომელიც გამოიყენება რაიმესადმი შეწინააღმდეგების, რაიმესადმი დაუთანხმებლობის, შედავების, უარის თქმის მნშვნელობით: *Как же!, Как бы не так!*

გარდა ამისა, დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა მთარგმნელი ორიგინალში მრავალრიცხოვანი განმეორების გადმოტანის დროსაც. ამგვარ შემთხვევებში მთარგმნელს უხდებოდა იმის გადაწყვეტა, ემსხვერპლა თუ არა სტილის სილამაზით და გადაეთარგმნა ყველა განმეორებული სიტყვა, რომელიც ორიგინალში მხოლოდ აძლიერებდა გამოთქმული აზრის ეფექტს და არაფრით ამცირებდა ტექსტის სილამაზეს, მაგრამ თარგმანისას კარგავდა პირველსაც და მეორესაც; ან მთარგმნელს უხდებოდა შეეკვცა ეს მრავალჯერ განმეორებული სიტყვები, ან გამოეყენებინა მათი სინონიმები.

ნიკოლოზ ჟღენტი

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მთის წმ. გიორგის მონასტრის საეკლესიო სიძველეები

მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიის კვლევისას გამოიკვეთა მონასტრის კუთვნილი, ძალზე საინტერესო საეკლესიო-რიტუალური დანიშნულების სიძველეები, რომელთა საერთო რაოდენობა 13-მდეა. დღეისათვის მათი უმრავლესობა დაკარგულად ითვლება. ეს სიძველეები მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩნდა როგორც უშუალოდ მონასტრის, ასევე ქართული ხელოვნებისა და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიისათვის. მოხსენებაში განვიხილავ თითოეულ მათგანს, ხო-

ლო მეტი თვალსაჩინოებისთვის, ქვემოთ გამოვყოფ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიძველეებს. ესენია:

1. „მთის მთავარმონამე“ – წმ. გიორგის ხატი, მონასტრის მთავარი სინმინდე. ხატი მონასტრის დაარსების თანადროულია. განახლებული უნდა იყოს XV ს-ში ბაგრატ VI-ის მიერ. იხსენიება საისტორიო საბუთებში XIX ს-მდე. დღეისათვის დაკარგულია.

2. „ძმუისის ნათლისმცემლის „ოქროს“ ჯვარი“ – მოოქრული ვერცხლით ნაჭედი ძვირფასი ჯვარი, დამზადებული „გლახაკი არსენის“ (არსენ II კათალიკოსის ?) ბრძანებით, ბაგრატ III კურაპალატისა და კახაბერ და მიქელ რაჭის ერისთავების დროს (X-XI საუკუნეთა მიჯნა). XIX ს-ში მონასტრის გაუქმების შემდეგ ინახებოდა მონასტრის კუთვნილ სოფ. ძმუისის წმ. გიორგის ეკლესიაში. განადგურდა 1920-იანი წლების ანტირელიგიური მოძრაობის დროს.

3. „აგარის წმ. გიორგის ხატი“ – XI ს-ის (?) ხატი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ჯერ სამეგრელოს სოფ. ხორგაში ესვენა, შემდეგ მთის წმ. გიორგის მონასტერში გადმოუსვენებიათ, ხოლო 1688 წლისათვის მონასტრის კუთვნილ რაჭის სოფ. აგარის ახლადაშენებულ ეკლესიაში გადმოუსვენებია მერაბ წულუკიძეს. 1926 წელს დაზიანდა ანტირელიგიური მოძრაობის ფანატიკოსების ხელით. დღეს რესტავრირებული ხატი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (№3160/გ. 577).

4. „ძმუისის წმ. გიორგის ხატი“ – მოოქრულ ვერცხლზე ნაჭედი ხატი, სავარაუდოდ, ჯვრის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა. დღეისათვის ეს სიძველე დაკარგულად ითვლება. შემონახულია ხატის გამოსახულებისა (წმ. გიორგი ქისას აძლევს გლახაკებს, ეშმაკები ცდილობენ ხელის შეშლას) და წარწერის გ. ბოჭორიძისეული აღწერილობა. წარწერაში იხსენიება მელქისედეკ იშხნელი. ჩვენს ხელთ არსებული მოცემულობით, ეს პირი შეიძლება გაიგივდეს XI ს-ის მელქისედეკ იშხნელ ეპისკოპოსთან, ან XVI ს-ის გაენათელ და შემდეგ ნიკორწმინდელ ეპისკოპოს მელქისედეკ საყვარელიძესთან.

5. „წყნორის წმ. გიორგის ხატი“ – მოოქრული ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, სავარაუდოდ, XVI-XVII საუკუნეებს ეკუთვნის. დღეისათვის ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (№144). ხატი უნიკალურია გველეშაპისა და დიოკლეტიანეს საერთო გამოსახულებით (გველეშაპის ქერცლი ქმნის ადამიანის სახის პროფილს).

ირინე საგანელიძე

*საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

მრავალეთნოსური თბილისის მულტიკულტურული ტრადიციები (კულტურული მოვლენები, ისტორიული პროცესები, საზოგადო მოღვაწეები)

მოხსენება მიზნად ისახავს ე.წ. თბილისური კულტურისა და მისი ხელოვნების კვლევას სხვადასხვა სანიმუშო მაგალითის საფუძველზე. თბილისური კულტურა მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს მრავალფეროვანი კულტურული სივრცის ორგანული და თვითმყოფადი ნაწილი, რასაც მრავალმხრივ განაპირობებდა და განაპირობებს აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე მდებარე ქალაქის მრავალეთნოსურობა, განსხვავებული ტრადიციებისა და კულტურათა თანაარსებობის კვალდაკვალ. კულტურათა ამ თავისებურმა დიალოგმა ჩამოაყალიბა და განავითარა თბილისურ კულტურად სახელდებული მულტიკულტურული ფენომენი, რამაც დიდად განსაზღვრა თბილისელთა ყოფითი ცხოვრება, ქალაქის კოლორიტული იერსახე, კულტურული ატმოსფერო და, რაც ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა, XIX-XX საუკუნეების სხვადასხვა ეროვნების თბილისელ არტისტთა – მხატვართა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა, ლიტერატორთა, არქიტექტორთა შემოქმედების თემატიკა თუ სტილი.

აღნიშნული მოხსენება წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურის კვლევის ნაწილს და ასახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ თბილისის პროფესიული კულტურისა და კულტურათაშორის დიალოგის განვითარების გზას. თბილისის მულტიკულტურული ხასიათის შესაცნობად გამოყენებულია მრავალი მნიშვნელოვანი წყარო, თანამედროვე პუბლიკაციები და ა.შ., რომლებშიც ფართოდ არის ასახული XIX-XX საუკუნეებში თბილისში მცხოვრებ ეთნოსთა ტრადიციების თავისებურებანი, ქალაქის კულტურულ-ლიტერატურული ატმოსფერო. ამასთანავე, აღნიშნული მოხსენება წარმოადგენს ერთ მცირე ნაწილს ნაშრომისა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერისა და სახელმწიფო მიდგომების (2009-2019 წლები) შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო პოლიტიკის კვლევასა და განხილვას ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით.

მასში ასევე განხილულია ეთნიკურ უმცირესობათა პროფესიული კულტურის განვითარების საფუძვლები. მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ნაციონალურ-კულტურულმა კერებმა, თეატრისა თუ სხვა საგანმანათლებლო-კულტურული ორგანიზაციების სახით, დიდი როლი ითამაშეს თბილისური კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებაში. საგულისხმოა სახელმწიფოს პოლიტიკა და გამოწვევები ამ მიმართულებით.

თბილისის უნიკალური მულტიკულტურული გარემოს კვლევის ამ ეტაპზე წარმოვადგინეთ მრავალეტნოსური თბილისის ცხოვრებისა და კულტურული განვითარების თავისებურებები, კონკრეტული ისტორიული პროცესი და კულტურული მოვლენა, ასევე მიმოვიხილეთ სახელოვნებო სფეროს იმ წარმომადგენელთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელთაც გამორჩეული წვლილი შეიტანეს საკუთარი – ქართული კულტურის განვითარებაში, ქართველებთან ერთად გააფართოვეს ქართული კულტურის დიაპაზონი და განაპირობეს ქალაქური, თბილისური მულტიკულტურის უნიკალურობა. შემდგომი ეტაპის კვლევა მიზნად ისახავს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერისა და სახელმწიფო მიდგომების განხილვას უახლესი ისტორიიდან.

თინათინ სოზიაშვილი

დამოუკიდებელი მკვლევარი

ლაითურის თანამედროვე ყოფა: ჩაის ადგილი მეხსიერებასა და ყოველდღიურობაში

ლაითური საბჭოთა მეურნეობის სუბტროპიკული კულტურების მამულად ჩამოყალიბებას, საქართველში ჩაის კულტურის აღორძინებას უკავშირდება. ჩაის კულტურა იქცა ლაითურში დასახლებული ადამიანების ძირითად საარსებო წყაროდ და მათი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად. ლაითურის საბჭოთა მეურნეობას საფუძველი 1930 წლის იანვარში ჩაეყარა. მართალია 20-იანი წლებიდან დაიწყო ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის სამეურნეო საჭიროებისათვის ათვისების ღონისძიებანი, მაგრამ 30-იან წლებამდე იგი დაუსახლებელი და გაუდაბურებული იყო. ამ ადგილზე ხალხის მომრავლება უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა მეურნეობის შექმნას. ახლადწარმოქმნილი დასახლების განაშენიანების პროცესს თან უამრავი პრობლემა და სირთულე ახლდა, მაგალი-

თად: არასახარბიელო საცხოვრებელი პირობები, ანტისანიტარია, მუშათა კადრების ნაკლებობა, სასმელი წყლის არქონა და ა.შ. საბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა მუშა-მოსამსახურეებისთვის მომავლის პერსპექტივებითა და სიდიადით სავსე სასურველი გარემო დაეხატა, რამაც საბოლოოდ განაპირობა როგორც მოსახლეობის ზრდა, ისე საზოგადოებრივი კვების, საცალო ვაჭრობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, კულტურულ-საგანმანათლებლო და მომსახურების დაწესებულებათა ქსელების შექმნა. პროპაგანდის ნაწილი იყო ძმური, ინტერნაციონალური საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც დასახლების პრესტიჟულობას უნდა მომსახურებოდა. ლაითური სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა მეგობრობის, მშვიდობიანი თანაცხოვრების, შრომითი საქმიანობისა და ყოფაცხოვრების სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო.

ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე მოხსენებაში განვიხილავ დაბა ლაითურელთა დღევანდლობას, მახსოვრობას ინდუსტრიული საბჭოთა წარსულის შესახებ. ყურადღებას გავამახვილებ ლაითურის მოსახლეობის კოლექტიურ ნარატივებზე (საგულისხმოა, თუ რას და როგორ იხსენებენ), შესაბამისად, განვიხილავ თუ როგორ ახდენენ ლაითურელები თანამედროვეობის კონსტრუირებას. საყურადღებო საკითხია ისიც, თუ რა როლი ეჭირა ჩაის კულტურას მათ ცხოვრებაში, როგორი იყო და არის საბჭოთა კავშირი მათ მეხსიერებაში შემორჩენილი, რა ნარატივებია გავრცელებული მოსახლეობაში ლაითურის დაარსების შესახებ. ასევე საინტერესოა, რა სახით ინარჩუნებენ საერთო კოლექტიურ იდენტობას დღემდე, როგორ გამოიხატება ნოსტალგია წარსულის მიმართ და როგორ ცდილობენ მის შენარჩუნებას „მეხსიერების არეების/ხატების“ შექმნით.

მოხსენების დასკვნით ნაწილში შევაჯამებ ლაითურის თანამედროვე ვითარებას – რა სახით შემორჩა დღეს ჩაის კულტურა მათ ყოველდღიურობაში და რა გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე ჩაი, რა შეიცვალა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და რა კავშირი აქვს დღევანდელ ლაითურს ინტერნაციონალურ წარსულთან.

ნინო ფალავანდიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სემიოტიკაზე ორიენტირებული მეტაფორიზებული ტექსტების თარგმნის პრობლემები (გიუნტერ გრასის ქართულად თარგმნილი ტექსტების მიხედვით)

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ მთარგმნელის ენობრივ შესაძლებლობებს, უნდა განვიხილოთ თარგმანში შერჩეული მეტაფორების კრეატიულობის მაგალითები. მეტაფორა არის მოვლენა, როდესაც რომელიმე კლასის ნიშან-თვისებები გადატანილია მეორე კლასის საგნებსა და მოვლენებზე; როდესაც მხატვრული შედარება მიუთითებს ერთი ობიექტის მსგავსებაზე მეორესთან, განავრცობს მას და იყენებს კავშირებს, თანდებულებსა და პრედიკატებს. მეტაფორა ლაკონიურია, გამოხატავს მთავარ მსგავსებას და ამოკლებს მეტყველებას.

მეტაფორიზებული მხატვრული ტექსტების თარგმნა და ინტერპრეტაცია ყოველთვის შესაძლებელია მათი საზრისის „ჰერმენევტიკულ წრეში“ ჩართვით, როდესაც „გაგების“ კატეგორია მუდმივ მოძრაობას განიცდის მთელიდან ნაწილზე და ნაწილიდან მთელზე. ამ დროს, რაგინდ რთულიც არ უნდა იყოს მეტაფორიზებული ტექსტის საზრისის სიღრმისეული სტრუქტურა, მთლიანისა და ნაწილების ურთიერთმიმართება მთარგმნელს ყოველთვის აძლევს სიგნალს, რომ „გაგება“ შედგა. მეტაფორიზებული მხატვრული ტექსტების თარგმნისას მიზანშეწონილია, რომ მეტაფორის თეორიებს შორის გამოვყოთ პ. რიკიორის „პარადოქსის თეორია“ და რ. მაკ-კორმაკის „კოგნიციის თეორია“.

პარადოქსის თეორიაში მეტაფორას უფრო ფართო განზომილება გააჩნია. ის მოიცავს დისკურსს, ტექსტსა და ჰერმენევტიკას, შესაბამისად, ინტერპრეტაციას. რიკიორის თანახმად, მეტაფორის თეორიებს წრიული ხასიათი აქვთ, ამიტომ საჭიროა გავიზიაროთ ჰერმენევტიკული რჩევა, რომლის თანახმადაც, ისინი დროულად და სწორად უნდა ჩავართოთ ჰერმენევტიკულ წრეში. პ. რიკიორი აღწერს მეტაფორას, როგორც პარადოქსს, რომელშიც განსხვავებული ცნებები მსგავსების საფუძველზე უახლოვდებიან და ერწყმიან ერთმანეთს. რიკიორის აზრით, მეტაფორა მხატვრული ტექსტის პარადიგმისა და ინტერპრეტაციის დონეზე მისი საზრისის გაგების გასაღებს წარმოადგენს. სტრუქტურებით, სემანტიკური კოდებითა და

„სამყაროსეული სურათებით“ ისეთი განსხვავებული ენები, როგორებიცაა გერმანული და ქართული, სხვადასხვა ალტერნატიულ სურათს განსაკუთრებით მეტაფორული აზროვნების სფეროში ქმნიან. მაგრამ ამ ენებზე შექმნილი მხატვრული ტექსტების თარგმნა სრულიად შესაძლებელია, თუ წყარო-ტექსტის „შესაძლებელ სამყაროში“ მთარგმნელი გამონახავს ისეთ რეალურ სინამდვილეს, რომელიც მიზან-ტექსტის ენის უნივერსალური კანონებით გადმოცემას დაექვემდებარება. მაგ., გ. გრასის რომანში „დედალი ვირთაგვა“ ფიქტიური სინამდვილეა შექმნილი, რომელსაც მთარგმნელი ამ სამყაროში გადაჰყავს. ირეალური სამყარო მთარგმნელისთვის იქცევა იმ დიდ მეტაფორად, რომელიც მან მიზან-ენის მატაფორიზაციის საშუალებით უნდა წარმოაჩინოს.

ნათია ფურცელაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო*

გრიგოლ რობაქიძის უცნობი საარქივო მასალები იენაში

1928 წლის შემოდგომაზე გერმანიაში, იენაში, დიდერიხსის გამომცემლობაში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით.

რომანის გამოცემა საკმაოდ რთული აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძისთვის. მას ბევრი წინააღმდეგობისა და დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა მიზნის მისაღწევად.

ამ საკითხის კვლევისას დავამუშავე 1995 წელს ჟურნალ „გეორგიკაში“ გამოქვეყნებული შტეფი ხოტივარი-იუნგერის წერილი – „ახალი ცნობები გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ გერმანიაში გამოცემის შესახებ“, რომელშიც გერმანელი ქართველოლოგი ახსენებდა გრიგოლ რობაქიძისა და დიდერიხსის გამომცემლობის მიმონერას. კვლევის პროცესში დაუუკავშირდი სტატიის ავტორს, რომელმაც ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემატყობინა, რომ ეს ეპისტოლური მასალები ფირზე ჩანერილი ჰქონდა წლების წინ და იმ დროისთვის ისინი ინახებოდა იენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

იენაში სამეცნიერო მივლინებისას დავინყე ზემოაღნიშნული საარქივო მასალების ძიება, თუმცა რამდენიმე დღიანი მცდელობის შემ-

დეგ არქივის თანამშრომლები მპასუხობდნენ, რომ ეს წერილები მათთან არ ინახებოდა. საბოლოოდ, მივაკვლიეთ ერთ საქალაქო, რომელშიც სწორედ გრიგოლ რობაქიძის ხელნაწერები იყო დაცული.

არქივი შედგება 21 გერმანულენოვანი წერილისგან. აქედან 19 წერილი გაგზავნილია საქართველოდან გერმანიაში, გრიგოლ რობაქიძე სწერს გამომცემლობის რედაქტორს – კორნელიუს ბერგმანს (მიმოწერა იწყება 1927 წლის 30 სექტემბერს და სრულდება 1928 წლის 21 დეკემბერს), ხოლო 2 – გერმანიიდან საქართველოში. არქივში დაცულია გრიგოლ რობაქიძესა და დიდერიხსის გამომცემლობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც განხილულია „გველის პერანგის“ გერმანულად გამოცემასთან დაკავშირებული საკითხები.

მოხსენებისას ვისაუბრებ იენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული გრიგოლ რობაქიძის უცნობი გერმანულენოვანი წერილების შესახებ, რომლებიც თავად ვთარგმნე ქართულად. ეს ეპისტოლური მასალა უაღრესად მნიშვნელოვანია და ახალ ცნობებს გვანვდის არა მარტო „გველის პერანგის“ გერმანიაში გამოცემის შესახებ, არამედ კიდევ ერთხელ წარმოაჩენს გრიგოლ რობაქიძის ადგილს ევროპულ ლიტერატურულ სამყაროში.

თეა ქამუშაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

საკრალური ადგილები იძულებით გადაადგილებულ პირთა მენსურებაში: გამოცდილება, იდენტობა და გამოწვევები

მოხსენებაში საუბარი იქნება თუ რა ადგილი უკავია საკრალურ ადგილებს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მენსურებაში. რა გამოცდილებას ეფუძნება მასთან ასოცირებული იდენტობები და რა გამოწვევებს ქმნის არსებული დე ფაქტო საზღვარი.

საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, აფხაზეთი მდიდარია საკრალური ადგილებითა და სალოცავებით, რომლებთან დაკავშირებული რელიგიური პრაქტიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და თამაშობს საზოგადოებრივი ჯგუფების იდენტობათა ფორმირებაში. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საკრალური ძეგლებიდან გამორჩეული ადგილი ილორის წმინდა გიორგის სალო-

ცავს უჭირავს. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია XI საუკუნეს მიეკუთვნება და ოჩამჩირის რაიონში, ზღვასთან ახლოს, შემალე-ბულ ადგილზე მდებარეობს. მცირე მოცულობის მიუხედავად, სა-უკუნეების განმავლობაში მას არ აკლდა ყურადღება არც შემწირ-ველებისა და არც დამპყრობლების მხრიდან, რაც ასევე მის სრუ-ლიად განსაკუთრებულობასა და სიძლიერეზე შეიძლება მიუთი-თებდეს. მისი როლი და სახელი სცდება ლოკალური თემისათვის სალოცავი ადგილის მნიშვნელობას. ილორის სალოცავმა აფხაზე-თისა და დანარჩენი საქართველოსათვის კიდევ უფრო მეტი დატ-ვირთვა 90-იანი წლების კონფლიქტის შემდგომ შეიძინა. ამის მაგა-ლითად გამოდგება იძულებით გადაადგილებულ პირთა მეხსიერე-ბაში დამკვიდრებული ნარატივები, რომლებიც დროის ცვლილები-სა და რელიგიური პრაქტიკის შეზღუდვის მიუხედავად ისევ ცოც-ხლობს და ილორის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მსჯელობა იმაზე, თუ რა განაპირობებს იძულებით გადაადგილებულ პირთა მეხსიერებაში ილორის შესახებ მდგრად მეხსიერებასა და რა გამოწვევებს ქმნის არსებული დე ფაქტო საზღვარი. ილორის წმინდა გიორგის სახე-ლობის ეკლესიის მნიშვნელობას აფხაზებისა და ქართველებისათ-ვის ტაძრის ე.წ. რესტავრაციის კონტექსტში განვიხილავ, რომელ-მაც მისი ავთენტურობის რღვევა გამოიწვია. ტაძართან დაკავში-რებულ კონფლიქტამდე გამოცდილებას კი, ქართული და აფხაზუ-რი საზოგადოებისათვის შესაძლო მაინტეგრირებელ საშუალებად განვიხილავ.

წარმოდგენილი მოხსენება ეფუძნება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩატარებულ გამოკითხვასა და ილო-რის წმინდა გიორგის სალოცავთან დაკავშირებულ სამეცნიერო და პოპულარული ეთნოგრაფიული ლიტერატურის მეორეულ ანა-ლიზს. მოხსენების დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება კვლე-ვის შედეგები, რომელიც წარმოაჩენს საკრალური ადგილების მნიშვნელობას იდენტობათა ფორმირებაში, არსებულ გამოწვევებს დე ფაქტო საზღვრის პირობებში და სალოცავ ადგილს, როგორც საერთო გზების ძიების შესაძლებლობას კონფლიქტის პირობებში.

მიხეილ ქართველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟურნალი «Наука и религия» („მეცნიერება და რელიგია“) და მისი ადგილი საბჭოთა ანტირელიგიურ პოლიტიკაში 1959-1964 წლებში

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, სამეცნიერო წრეებში დღემდე არ წყდება საბჭოთა კავშირის მეცნიერული შესწავლის ინტერესი. მეტიც, სრულიად აშკარაა, რომ აღნიშნულ კვლევებს განვითარების კიდევ უფრო დიდი პერსპექტივა გააჩნია.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას რელიგიისადმი და მისი ასახვის თავისებურებების მაქსიმალური სიზუსტით გარკვევას.

ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ათეისტური პოლიტიკა ახალ მასშტაბებს იძენს, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ იგი პირდაპირ დაუკავშირდა დესტალინიზაციის პოლიტიკას. საქმე ისაა, რომ სტალინის მოღვაწეობის ბოლო წლებში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მნიშვნელოვნად ლიბერალური გახდა.

საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ ხელისუფლებამ იმთავითვე აქცენტი მეცნიერულ ათეიზმზე აიღო, რამაც სათანადო გამოვლინება პოვა 1959 წელს მთავრობის მიერ მიღებულ საგანგებო დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც დაარსდა ჟურნალი „Наука и религия“ („მეცნიერება და რელიგია“).

ამ ჟურნალმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოფიციალურად საზოგადოება „Знание“-ს („ცოდნა“) მიერ დაარსდა, ზუსტად განსაზღვრა და გამოხატა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა რელიგიისადმი.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით მოხსენება მოიცავს 1959-1964 წლებს და მიზნად ისახავს შევისწავლოთ, თუ რა ადგილი ეკავა და რა როლი ეკისრებოდა ჟურნალს ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკაში; როგორი იყო მისი ძირითადი მახასიათებლები, მიმართულებები; რამდენად ახერხებდა ჟურნალი საზოგადოების ფართო ფენებამდე მიეტანა ხელისუფლების სათქმელი. რადგან ჟურნალი დაარსების დღიდან ზედ-

მინევნით ზუსტად ახერხებდა ხელისუფლების პოლიტიკის აგიტაცია-პროპაგანდას, ერთ-ერთი მთავარ ნიშანი, რაც ამ ჟურნალს სხვა ანალოგიური ანტირელიგიური გამოცემებისგან განასხვავებდა, ის იყო, რომ იგი ყოველთვის ცდილობდა აკადემიური დონე შეენარჩუნებინა. ჟურნალში ნაკლებად ვხვდებით ისეთ მასალას, რომელსაც შეიძლება მოსახლეობის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოეწვია, რაც აგრეთვე ზედმინევნით ზუსტად ასახავდა ხელისუფლების პოლიტიკას.

აღნიშნული ჟურნალი სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესწავლილი და საგანგებო მეცნიერული კვლევის ობიექტი ჯერჯერობით არ გამხდარა. იმის გამო, რომ ჟურნალში კარგად ჩანს, თუ როგორ იცვლება სახელისუფლებო პრიორიტეტები, მიმართულებები და ინტერესები, მისი კვლევა მეტად საინტერესო და პერსპექტიულია.

თამთა ღონლაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო*

ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას პროზის ურთიერთმიმართებისათვის

ვაჟა-ფშაველას პროზა მრავალფეროვანია. მის მოთხრობებში, გარდა ბუნების გასულიერებისა, რომელსაც ყველაზე ხშირად განიხილავენ ხოლმე, საინტერესო და მნიშვნელოვანია სხვა მოტივებიც. აღნიშნულ თხზულებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათში გამოიყოფა ორი იდეური მიმართულება: ერთი, რომელშიც დიდია თერგდალეულთა გავლენა და რითაც ვაჟა მათი გზის გამგრძელებად გვევლინება და მეორე, მწერლის ინდივიდუალური იდეური ხაზი, რომელშიც ავტორის მსოფლმხედველობის სრულიად ახალი და განსხვავებული მხარეა წარმოჩენილი.

ჩემს მოხსენებაში განხილული იქნება თერგდალეულთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის – ილია ჭავჭავაძის პროზაული თხზულებების როგორც იდეური, ასევე მხატვრული გავლენა ვაჟა-ფშაველას მოთხრობებზე. ამ თვალსაზრისით განვიხილავ ისეთ ნაწარმოებებს, როგორებიცაა „ნისქეილი“, „მუ-

ცელა“, „დარეჯანი“, „ერემ-სერემ-სურემიანი“, „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“ და სხვ.

ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კომპარატივისტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს უკანასკნელი იყენებს პერსონაჟის ხატვის ილიასეულ ხერხებს. მაგალითად, მოთხრობაში „მუცელა“ მთავარი პერსონაჟი როგორც ფიზიკური დახასიათებისას, ასევე მისი ცხოვრებისადმი დამოკიდებულებით, მკითხველს ლუარსაბ თათქარიძეს ახსენებს მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“ ამ თხზულებაში გვხვდება სატირის ელემენტებიც, რომლებზეც აშკარაა ილია ჭავჭავაძის მწერლური მანერის გავლენა. აღნიშნულ ნაწარმოებებში ავტორთა მთავარი სათქმელი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, თუმცა იდენტური მაინც არაა და ვაჟა ახერხებს საკუთარი ინდივიდუალიზმის წარმოჩენას.

მოთხრობები „ერემ-სერემ-სურამიანი“ და „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“ ასახავს ავტორის ხედვას მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენებზე. მათი ძირითადი იდეა ეთანხმება ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან როგორც „მგზავრის წერილებში“, ასევე პუბლიცისტურ წერილებში.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „წისქვილი“ განსხვავებულია მანამდე არსებული ქართული პროზისგან თავისი სიუჟეტითა და მხატვრული ხერხებით, თუმცა მწერლის სათქმელი ამჯერადაც ახლოს დგას ილია ჭავჭავაძის შეხედულებებთან საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. საინტერესოა მოთხრობა „დარეჯანი“, რომლის მთავარი პერსონაჟის პროტოტიპს, ჩემი აზრით, ოთარაანთ ქვრივი წარმოადგენს. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევისას, რა თქმა უნდა, ყველაზე მთავარი მისი ინდივიდუალიზმი და ნოვატორობაა, თუმცა იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს მწერლის იდეურ და მხატვრულ განვითარებაზე, აუცილებელია შევისწავლოთ გავლენები და ურთიერთმიმართებებიც იმ ავტორებთან, რომელთა მოღვაწეობაც დროში უსწრებდა ან ემთხვეოდა ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობას.

თამარ ლულუნიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ომი პიროვნული და კულტურული ტრავმის კონტექსტში (ქართველი და ირანელი მწერლების მოთხრობების მიხედვით)

მოხსენება ეხება საქართველოსა და ირანში ბოლო პერიოდებში წარმოებული ომების ლიტერატურულ ჭრილში განხილვას და მის წარმოდგენას პიროვნული და კულტურული ტრავმის კონტექსტში. მოხსენებაში აქცენტი გაკეთებულია, თუ როგორ აისახა ლიტერატურაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოსა და 1980-1988 წლების ირან-ერაყის ომი. გაკეთებულია შედარებითი ანალიზი და საუბარია კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებზე.

ზემოხსენებულ ომებს უკავშირდება არაერთი სამეცნიერო კვლევა, თუმცა არსებობს რიგი საკითხისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ამასთან, არ არის გაკეთებული შედარებითი ანალიზი ორი სრულიად განსხვავებული კულტურისა და მენტალობის მქონე ქვეყნების – საქართველოსა და ირანის მაგალითზე, რაც მეტყველებს საკითხის აქტუალურობაზე.

მოხსენების თეორიულ ჩარჩოდ ძირითადად გამოყენებულია ჯ. ალექსანდერისა და პ. შტომპკას ნაშრომები ტრავმასა და მის მახასიათებლებზე. ინდივიდი თუ ადამიანთა ერთობა ტრავმას სხვადასხვაგვარად აღიქვამს. ტრავმის რაციონალური გააზრება იძლევა საშუალებას დამანგრეველი მოვლენაც კი იქცეს ახალ შესაძლებლობად სასიკეთო ცვლილებებისთვის. ამავდროულად, შესაძლოა ტრავმამ ადამიანი ისე დათრგუნოს, რომ ვერ შეძლოს ამ საშინელ მოვლენასთან გამკლავება.

სხვადასხვა დროის მნიშვნელოვანი მოვლენების გაანალიზებასა და მართებულად გააზრებაში დიდ როლს თამაშობს ლიტერატურა, რადგან ეს უკანასკნელი ყველაზე მკაფიოდ აშუქებს ადამიანებისა და საზოგადოების დამოკიდებულებას/განწყობას ამა თუ იმ მოვლენისადმი. ნაშრომისთვის საკვლევ მასალად შეირჩა თამარ ფხაკაძის, ანა კორძაია-სამადაშვილის, ბიჟან ნაჯდისა და ჯამშიდ ხანიანის ნაწარმოებები, რომელთა მთავარ სიუჟეტსაც ომი და მისი დამანგრეველი შედეგები წარმოადგენს.

ლიკა შონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა პერიოდის მეგრული სიტყვიერების პოეტური ნიმუშები: სათაურის სტრუქტურა და სემანტიკა

ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის კვლევა მნიშვნელოვანი და საინტერესოა არამხოლოდ ენათმეცნიერული, არამედ ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, სოციოლინგვისტური... თვალსაზრისითაც. ხალხური შემოქმედების ნიმუშები კარგად ასახავს სოციალურ ცხოვრებას, საქმიანობას, ისტორიას, ინტერესებს, პრობლემებს, მიზნებს, მისწრაფებებს, პოლიტიკურ გარემოს... საბჭოთა პერიოდის მეგრული სიტყვიერების პოეტური ნიმუშები შემთხვევით არ არის შერჩეული. მასში იგრძნობა საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა, თუმცა სულიერ ღირებულებებზეც არის ყურადღება გამახვილებული.

ცნობილია, რომ ლექსის იდეა ყველაზე კარგად სათაურში ჩანს, რადგან იგი ერთგვარ მინიშნებას აკეთებს ძირითად თემაზე და ასევე წარმოაჩენს ავტორის პოზიციას. მკითხველიც ნაწარმოების გაცნობას სათაურით იწყებს.

საანალიზო ემპირიული მასალა მეგრული პოეზიის ნიმუშებია ტოგო გუდავას მიერ შედგენილი ქართული სიტყვიერების I ტომიდან (თბ. 1975), კერძოდ, ერთ-ერთი ქვეთავიდან, სახელწოდებით „თანამედროვე“. მასში მოცემული ლექსების სათაურის სტრუქტურა მრავალფეროვანია; წარმოდგენილია:

- **ერთსიტყვიანი ლექსებები** (ძირითადად, ტოპონიმები): **საქორთუო**, „საქართველო“, **ჯიხაშკარი**, „ჯიხაშკარი“ და სხვა.

- **ორსიტყვიანი შესიტყვებები** (უმეტესად სუბსტანტიურ-მსაზღვრელიანი ფორმები): **ჩაიშ მანილარენს** „ჩაის მკრეფავენს“, **რკინაშ ხოჯი** „რკინის ხარი“, **კოლექტივიშ მუხუდო** „კოლექტივის მუხუდო“ და სხვა.

- **დასაწყისი ფრაზები**: **ჩქიმი ნინა ქორთული** „ჩემი ენა ქართული“, **გოლეფს ნირსი მობუ დო** „მთებს ნისლი ეკიდა და“.

მოხსენებაში დანვრილებით განვიხილავთ თითოეული სტრუქტურული მოდელის მაგალითებს და მათ ფუნქციურ დანიშნულებას.

თამარ ჩანქსელიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ქართველურ ენებში

მოხსენებაში განხილულია მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა სემანტიკური შესაბამისობის საკითხი ქართველურ ენებში. განხილულია ამ ტიპის ნაწილაკები აღნიშნულ ენებში ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირების გზით და გამოვლენილია საერთო და განსხვავებული სემანტიკა და ფუნქციური დანიშნულება.

მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდვას ქართულში გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“, მეგრულსა და ლაზურში „ვარ“, სვანურში კი ამ ნაწილაკის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება როგორც ერთსა და იმავე დიალექტში, ასევე სხვადასხვა კილოში: *დეშ*, *დოშ* (ბზ., ქსვ.), *მჷდშ-მჷჩ/მჷჩ*, *მჷდჩ/მჷთშ*, *მჷძჩ/მჷჩჩ*, *მჷჩშ* (ლნტ.), *დეშსა*, *დეშმა*, *მეშმამ* (ლშხ.), აღნიშნული ნაწილაკები ერთმანეთის ალომორფებია მცირედი ნიუანსური სხვაობით, მათ შორის ძირითადი და სვანური ენის ოთხივე დიალექტში გავრცელებული ნაწილაკია *დეშ*. გარდა ჩამოთვლილი ნაწილაკებისა, სვანურში არის ნაწილაკი *მოშ*, რომელიც დამოუკიდებლად სემანტიკისგან დაცლილია და, შესაბამისად, არც ქართული შესატყვისი ეძებნება, თუმცა მისი ფუნქცია სხვადასხვა ენობრივ ერთეულზე დართვისას სწორედ მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდვის გამოხატვაა.

ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვის საშუალებები ქართველურ ენებში, დავადგინოთ, რა განაპირობებს ქართული „ვერ“ და მეგრული და ლაზური „ვარ“ ნაწილაკების შესაბამის ნაწილაკთა მრავალფეროვნებას სვანურში.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს არაერთი მეცნიერი შეეხო მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებს ცალ-ცალკე ქართველურ ენებში და უძღვნა გამოკვლევები, ჩვენი საკვლევი თემა აქტუალურია, რადგანაც იგი მიზნად ისახავს კომპლექსურ მიდგომას – ქართველური ენების მონაცემების შედარება-შეპირისპირებას. ამგვარი მიდგომის საფუძველზე წარმოჩნდება, რა დამატებითი სემანტიკური ნიუანსები შემოაქვს

სვანურში დადასტურებული ნაწილაკების რაოდენობრივ სხვაობას. ამ ტიპის კვლევები მნიშვნელოვანია როგორც ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ასევე თარგმნის დროს სხვადასხვა სტილური ხარვეზის თავიდან ასაცილებლად.

ნაშრომის თეორიული ნაწილი ეყრდნობა სხვადასხვა დროს ამ თემაზე გამოქვეყნებულ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო სტატიებს; დამუშავებულია დიდძალი ემპირიული მასალა ნაბეჭდი და ელექტრონული წყაროებისა და 2018-2019 წლებში სვანეთსა და სამეგრელოში სავლელ სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალების მიხედვით.

სოფიო ჩხატარაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის პრობლემა XX საუკუნის 60-იანი წლების უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსში

XX საუკუნის უკრაინა ლიტერატურულ-კულტურული პროცესების თვალსაზრისით მრავალფეროვან პანორამას გვთავაზობს და თანაბრად იმსახურებს როგორც ფილოლოგიების, ისე ისტორიკოსების ყურადღებას. განსაკუთრებით საინტერესოა მისი II ნახევარი. სამწერლო ასპარეზზე ჩნდება „სამოციანელების“ სახელით ცნობილი თაობა, რომელსაც ლიტერატურაში შემოაქვს ახალგაზრდული ძალა, ენერგია, სიახლეებითა და ექსპერიმენტებით აღსავსე პროზა და პოეზია. მათი მოღვაწეობა ე.წ. „დათბობის“ პერიოდს ემთხვევა. ეს არის ეპოქა, რომელშიც წინა პლანზე აღმოჩნდა (საბჭოთა სივრცეში) ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის საკითხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; საბჭოთა ჰიბრიდული კულტურული იდენტობის ბუნდოვანი საზღვრები („ჩემი მისამართია საბჭოთა კავშირი...“), უფრო მეტად ხდიდა აუცილებელს, ადამიანს ჰქონოდა პასუხი კითხვებზე: ვინ არის, საიდან მოდის და რას წარმოადგენს („ყველაფრის არჩევა შეიძლება სამშობლოს გარდა“ ვ. სიმონენკო. „უკრაინა ჰქვია ყველაფერს: უნივერმალს, რესტორანს, ქარხანას...“ ლ. კოსტენკო; „ლიტერატურა ეროვნული საქმის, ეროვნული იდეის მსახურება“ ბ. ანტონენკო-დავიდოვიჩი“); ეროვნული კულტურების შევინროვება, თა-

ვისდაუნებურად, მათი გადარჩენის პროვოცირებასაც ახდენდა. სამოციანელთა თაობის ახალგაზრდა მწერლებს ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მისია დაეკისრათ.

დმიტრო პავლიჩკო, ლინა კოსტენკო, ივან დრაჩი, მიკოლა ვინ-გრანოვსკი და სხვანი ნიჭისა და ნოვატორობის წყალობით ქმნიან ბრწყინვალე ნაწარმოებებს, რომლებიც აქტუალურობას არ კარგავს დღესაც. შეხვედრები ივან სვიტლიჩნის სახლში; ბორის ანტონენკო-დავიდოვიჩის კვლევები უკრაინული ენის შესახებ; ივან ძიუბას მონოგრაფია „ინტერნაციონალიზმი თუ რუსიფიკაცია“; ვასილ სიმონენკოს დღიურები; ლინა კოსტენკოს სამიზდატური შემოქმედება; ალა ჰორსკას მხატვრობა, როგორც პერფორმანსი „რკინის ფარდის“ წინააღმდეგ, არასრული ჩამონათვალია ფაქტებისა და მოვლენებისა, რომლებმაც საბოლოოდ შექმნა ფენომენი „სამოციანელობა“.

რაც უფრო მეტად ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება უკრაინელი ხალხის რუსიფიკაციას, მით უფრო ძლიერდებოდა ნაციონალური თვითმყოფადობისკენ ლტოლვა, იკვეთებოდა ინდივიდის პრობლემა. ხალხის ცნება სამოციანელთა მსოფლმხედველობაში პიროვნების ღირებულებების ერთობლიობასთან ასოცირდება და არა რაოდენობასთან. ნაციონალური ნიშნავს ინდივიდუალურსა და საკუთარს, საკუთარი კი – ნაციონალურს უტოლდება, ეს არის „სამოციანელთა“ შემოქმედების ერთგვარი ლოზუნგიც, რომელიც, რასაკვირველია, ცენზურას არ გამოჰპარვია.

„სამოციანელმა“ მწერლებმა საკუთარ მოვალეობად მიიჩნიეს „დაცხრილული ალორძინების“ მწერლების ტრადიციების გაგრძელება ლიტერატურაში. სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიით გამსჭვალულ საუკუნეში და მეტ-ნაკლებად მოთვინიერებულ მწერლობაში „სამოციანელთა“ შემოქმედება ერთგვარი ჟანგბადის ფუნქციას ასრულებდა მკითხველისათვის. თუმცა, საზღაური განსხვავებული აზრისა და სიტყვისათვის არც ისე სახარბილო იყო, რადგანაც ეროვნული იდენტობის გამომხატველი ლიტერატურული დისკურსი თავისთავად დისიდენტურ ქმედებად ან მოძრაობად აღიქმებოდა.

ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის საკითხი უკრაინულ ლიტერატურაში უკავშირდება „დათბობის პერიოდს“ და „სამოციანელთა“ შემოქმედებას. ფოლკლორული და ეთნო-კულტურული მოტივები სრულიად ბუნებრივია დევნისა და სოციალური ჩაგვრის პერიოდში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებისათვის.

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაბო შარვაშიძის მემუარები – ნონფიქშენის საყურადღებო ნიმუში

ლიტერატურათმცოდნეთა მართებული დაკვირვებით, ჩვენს დროში დოკუმენტური პროზის, ე. წ. „ნონფიქშენისადმი“ (ინგ. *Non-fiction*) განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება. ეს არის ნამდვილ და არა გამოგონილ ამბებზე დაფუძნებული ტექსტები – დღიურები, ეპისტოლეები, მემუარები, ჩანაწერები... გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ქართული სალიტერატურო სივრცე. ის დღითი დღე ნონფიქშენის როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ნიმუშებით მდიდრდება.

ერთი ასეთი ნიმუშთაგანია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის. მიხეილ შარვაშიძის (1806-1866) უმცროსი ქალიშვილის. ბარბარე (ბაბო) შარვაშიძის (1859-1946) ინგლისურენოვანი, საბეჭდო მანქანაზე აკრეფილი მოგონებები. ეს ფოტოებითა და ჩანახატებით გაფორმებული რვეული დღიურის ტიპის ჩანაწერებით მემუარისტის შთამომავლების საოჯახო კოლექციაში ინახებოდა. მიმდინარე წელს აღნიშნული მემუარების ქართული თარგმანი წიგნად გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“ (მთარგმნელი და საცნობარო აპარატის ავტორი, ისტორიის დოქტორი მაია ცერცვაძე), რაც, ვფიქრობთ, საგულისხმო ლიტერატურული ფაქტია.

ბაბო შარვაშიძე აფხაზეთში, ლიხნიში, დაიბადა. 1907 წელს ის პეტერბურგში ცოლად გაჰყვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, იურისტს, რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს, ესტონელ ბარონს ალექსანდრე მეიენდორფს (1869-1964). რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ წყვილი საზღვარგარეთ გაემგზავრა და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდა. ბაბო შარვაშიძე გარდაიცვალა ინგლისში. სწორედ ემიგრაციაში ყოფნისას დაწერა და დაუტოვა მან მეუღლეს ზემოხსენებული ჩანაწერები.

ბაბო შარვაშიძე გამოირჩეოდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტიურობით, მეტად დაახლოებული გახლდათ რუსეთის საიმპერატორო კართან, იყო იმპერატრიცას ფრეილინა, მონაწილეობდა საქველმოქმედო ღონისძიებებში.

მემუარისტი თავის დრამატულ ცხოვრებასა და საკუთარი ოჯახის თავგადასავალს ეპოქალური მოვლენების ფონზე მოგვითხრობს. იგი იგონებს აფხაზეთის სამთავროს ბოლო დღეებსა და მის გაუქმებას, მამის გასახლებას აფხაზეთიდან რუსეთის იმპერიის მიერ, აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს, რუსეთის საიმპერატორო კარის და

სხვა ამბებს, რომელთა უშუალო მომსწრე და თვითმხილველიც თავად იყო. ქართველი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უაღრესად რთული და საინტერესო ეპოქის – XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიზოდებისა და მათი პერსონაჟების გაცოცხლება და ყოფითი და კულტურული რეალების წარმოჩენა. მაგალითისთვის დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვასთან დაკავშირებული ამბებიც იკმარებდა.

წარმოდგენილი მოხსენება ბაბო შარვაშიძის მემუარების, როგორც ნონფიქშენის საყურადღებო ნიმუშის, წარმოჩენასა და ქართულ სალიტერატურო სივრცეში მისი ადგილის განსაზღვრას ეძღვნება.

ქეთევან ციმინტია, იოსებ შენგელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზედაშე ქვევრები სამეგრელოს ძველ და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში

რელიგიურ სიმბოლოებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის მიმართულების მკვლევრები, რადგან მათში, უძველეს სარწმუნოებრივ შეხედულებებთან ერთად, ვლინდება ყოფის მრავალი ასპექტი. ადამიანი გარე სამყაროსთან ურთიერთობისას ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა უზენაესს/შემოქმედს. ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირი რიტუალების გზით მყარდებოდა. ეს კარგად ჩანს ხალხურ დღეობებსა და შესანიშნავებში, სადაც განსაკუთრებული ადგილი ზედაშესა და საზედაშე ქვევრებს უჭირავთ. სიმბოლოთა ფართო სპექტრში სხვადასხვა სახის საგნებთან ერთად წმინდა ღვინო და საკვებიც შედის. წერილობით წყაროებში ის „საწირველის“ სახელით არის ცნობილი. რაჭაში საწირველს „სალოცველს“, სამეგრელოში – „ოხვამერს“, აფხაზეთში – „ამაჭარს“, სვანეთში, ქართლსა და კახეთში კი „ზედაშეს“ უწოდებენ.

სულხან-საბა ორბელიანი ზედაშეს ასე განმარტავს: „ზედაშე ანუ შესანიერი ღვინო“. ყოფაში ამ ტერმინის ქვეშ, ღვინის გარდა, სხვა სახის „საწირველიც“ მოიაზრება: თაფლი, ერბო, არაყი, ლუდი, ბამბის ნართი და სხვ. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება

სამეგრელოში სხვადასხვა სახის დღეობებისას გამოყენებულ შესანიშნავზე – ზედაშეზე და სალოცავ ქვევრზე („ოხვამერ ლაგვანი“), მის დანიშნულებასა და როლზე როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე ვითარებაში. ასევე, სამეგრელოში (წალენჯიხა, მარტვილი) საოჯახო და საგვარეულო ლოცვების მასშტაბებზე, რომელთაც „ხვამას“/ლოცვას ეძახიან.

საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, სამეგრელოში ასრულებდნენ ორი სახის „ხვამას“/ლოცვას. მეგრელებს ჰქონდათ „ოხვამერი“/სალოცავი და „დუნაპირი“/დანაპირი. ლოცვის დროს იყენებდნენ შესანიშნავებს – ზედაშეს. ყველა ოჯახს ჰქონდა სალოცავი ქვევრი („ოხვამერ ლაგვანი“), რომელსაც იმ კონკრეტული დღეობის თუ ლოცვის სახელი ერქვა, რომელ დღეობაზეც შეიძირებოდა. ოჯახში რამდენიმე „ოხვამერი ლაგვანი“ ანუ სალოცავი ქვევრი იყო. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ტრადიციული დღეობები გაქრობის პირასაა. ეთნოგრაფიულ ველზე შეგროვებული მასალის საშუალებით კი წარმოჩინდება თანამედროვე მდგომარეობა ორ საკვლევ რეგიონში. კვლევა განხორციელდა ეთნოგრაფიულ ველზე, მთის სამეგრელოში (წალენჯიხა, მარტვილი), ორი თვის განმავლობაში. კვლევისას გამოვიყენეთ ეთნოგრაფიული მონაცემები. ვიხელმძღვანელებთ როგორც ემპირიული და თეორიული, ისე ინტერდისციპლინური და ვიწრო დარგობრივი მეთოდებით. კვლევის ძირითადი შედეგია საკითხის ეთნოლოგიური შესწავლა და, შესაბამისად, მიღებული დასკვნები წარმოადგენს სიახლეს.

გიორგი ცომაია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

სასამართლო პროცესი საბჭოთა კავშირში გენერალ ანდრეი ვლასოვისა და რგა-ს ხელმძღვანელების წინააღმდეგ

საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ანდრეი ვლასოვი და მისი თანამოაზრეები მოღალატეები იყვნენ. სწორედ ამიტომ, ისინი იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს. როდესაც ვლასოვს დაკითხვის დროს ჰკითხეს, თუ რატომ გადავიდა ის გერმანელების

მხარეს, პასუხი ასეთი იყო: „მე სულმოკლეობა გამოვიჩინე“. მოხსენებაში გაანალიზებულია ის, თუ რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრება რეალობას.

საკითხზე მუშაობისას გამოყენებულია გამოქვეყნებული საარქივო მასალები, სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფიები (კირილ ალექსანდროვის, ალექსანდრ კოლესნიკის, შიმონ დატნერის და ა.შ.), რომლებიც გვიჩვენებენ, თუ ვინ იყო ის ხალხი, რომლებიც გადავიდნენ მესამე რაიხის მხარეს. ასევე აღწერილია ის, თუ რა ვითარებაში გადავიდნენ ანდრეი ვლასოვი და მისი თანამოაზრეები გერმანელების მხარეს მეორე მსოფლიო ომის დროს; მიზეზები, თუ რატომ გადადგეს სერგეი ბუნიაჩენკომ, ფიოდორ ტრუხინმა, ვიქტორ მალცევემა და სხვებმა ასეთი ნაბიჯი; ხაზგასმულია ის, თუ რა თანამდებობებს იკავებდნენ ვლასოვი, ტრუხინი, ბუნიაჩენკო, მალცევი და სხვები საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. გარდა ამისა, ვიმსჯელებთ თვითონ ანდრეი ვლასოვის გერმანელების მხარეზე გადასვლის ფაქტზე: რატომ მიიღო გადაწყვეტილება გერმანელებთან თანამშრომლობის შესახებ? იყო ეს პირადი უსაფრთხოების გამო, თუ ვლასოვს დიდი ხანია ჰქონდა ანტისაბჭოთა განწყობები? ასევე ყურადღება იქნება გამახვილული იმ ფაქტზე, რომ სასამართლო პროცესი ვლასოვის და რგა-ს ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმდინარეობდა დახურულ რეჟიმში და ისიც მხოლოდ სამი დღის განმავლობაში.

მოხსენებაში განხილული იქნება მიზეზები, თუ რატომ იყო მიღებული გადაწყვეტილება ფარული პროცესის ჩატარების შესახებ და რა საფრთხეს შეიცავდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ღია პროცესის ჩატარება. დასკვნაში მოცემულია პასუხი, თუ რატომ გადავიდნენ გენერალი ვლასოვი და მისი თანამოაზრეები მესამე რაიხის მხარეს და უარყოფილია ის გაბატონებული, მცდარი მოსაზრება, თითქოს ვლასოვი, მალცევი, ბუნიაჩენკო, ტრუხინი და სხვები მოლაღატეები იყვნენ იმის გამო, რომ კრიტიკულ მომენტში „სულმოკლეობა გამოიჩინეს“.

მარკა ჭითანავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნმ. მარკოზ მახარებლის ლიტურგია

მოხსენება ეხება წმიდა მოციქულისა და მახარებლის, მარკოზის მიერ დაარსებულ საღმრთო ლიტურგიას, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული მსახურებაა. იგი მიჩნეულია საზოგადო ღმრთისმსახურების ერთ-ერთ ადგილობრივ ტრადიციულ სახედ. ლიტურგია, სახელწოდებიდან გამომდინარე, უშუალოდ პეტრე მოციქულის მოწაფის მიერაა შექმნილი და დღემდე აღესრულება, როგორც ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოში, ასევე საბერძნეთისა და ამერიკის რუსული დიასპორის ეკლესიებში წმინდა მახარებლის ხსენების დღეს, 25/8 აპრილს, ზატიკის პერიოდში.

მარკოზის ლიტურგიის შესახებ უძველესი წერილობითი დადასტურება მეოთხე საუკუნის პაპირუსზეა, რომელიც 1928 წელს აღმოაჩინეს, თუმცა უნდა ჩამოვთვალოთ ქრისტიანული ეკლესიის ის ბურჯები, რომლებიც ხსენებული მსახურების აღსრულებას ადასტურებენ საკუთარ შრომებში: წმ. ათანასე დიდი, კირილე ალექსანდრიელი, იოანე მოწყალე და სხვები. ასევე ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ 1585 წელს მეღვთისმსახურებელმა და 1890 წელს ნექტარიოს პენტაპოლელმა გადაწერეს დასახელებული წირვის ყველაზე გვიანდელი ხელნაწერი. ეს უკანასკნელი გამოიცა მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ჯერ საბერძნეთში (1955 წ.), ხოლო შემდეგ კი – ეგვიპტეში (1960 წ.).

საგულისხმოა, რომ ალექსანდრიაში ღმრთისმსახურება აღესრულებოდა ბერძნულ ენაზე. ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნულ ენას ჯერ კიდევ ფართო გამოყენება ჰქონდა ეგვიპტეში და რომლის საშუალებითაც მოახერხა ქრისტიანულმა კულტურამ აღმოსავლეთის ამ უძველეს სახელმწიფოში შეღწევა, სადაც მას დახვდა ადგილობრივი ელინისტური ტრადიცია. ორივეს შერწყმამ კი განაპირობა ლოკალური ღმრთისმსახურების ფორმაცია, რაც თვალნათლივ გამოვლინდა წმ. პეტრე მოციქულის მოწაფის მიერ დაარსებულ სრულ ლიტურგიაში, რომელმაც ადგილობრივ ბერძნულენოვან მოსახლეობას მშობლიურ ენაზე შეუდგინა ღმრთისმსახურების წესი.

თავად მსახურების სტრუქტურა ბევრ ისეთ თვალსაჩინო ელემენტს შეიცავს, რომლებიც საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ლოცულობდნენ პირველი ქრისტიანები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ ადგილობრივ ტრადიციულ ლიტურგიას, სხვებისგან განსხვავებით, დიდი ცვლილებები არ განუცდია და თავისი პირვანდელი ფორმა და მნიშვნელობა შემოინახა.

საინტერესოა, რომ ქართულ ენაზე არცერთი ხელნაწერი არ მოიპოვება, შესაძლოა არც არასოდეს შესრულებულა მისი ქართული თარგმანი...

შეიძლება ითქვას, რომ მარკოზ მახარებლის წირვის საფუძვლიანი შესწავლა და მისი საღმრთისმეტყველო თუ ტერმინოლოგიური კვლევა გააღრმავებს პირველსაუკუნეების ქრისტიანთა ლოცვისა და მსახურების შესახებ ცოდნას და დაეხმარება როგორც ლიტურგიისა და, ზოგადად, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს, ასევე ამ საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

ანა ხვედელიანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

სკოლის რეორგანიზაცია, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების საფუძველი (1918-1921)

თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში კვლავ აქტუალურია ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის ფორმირებასთან დაკავშირებული კვლევის საკითხები. ნაციონალური იდენტობის ფორმირება მრავალხმრივი და მრავალგანზომილებიანი პროცესია და სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ინტერესის სფეროში ხდება. მოხსენების მიზანია, განვიხილოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1918-1921 წლებში გატარებული განათლების რეფორმა ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირების თვალსაზრისით.

1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები განათლების სისტემაში. მთავრობამ განათლების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა გაეროვნების პოლიტიკა, რაც გამოიხატა ქვეყნის ადმინისტრაციული და კულტურული დანესე-

ბულებების გაქართულებაში/გაეროვნულებაში, ეროვნული მიმართულებების დანერგვაში ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, სასწავლო დაწესებულებების გაეროვნების პოლიტიკა წარმოადგენდა ქართული ენის განვითარების ახალ, ფართო სახელმწიფო პროგრამას. სავალდებულო გახდა ქართული ენის სწავლება მათთვის, ვინც ამ ენას არ ფლობდა. ასევე, სავალდებულოდ გამოცხადდა საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლა. სწავლების ნაციონალიზაციამ და ქართული ენის პოლიტიკის შემუშავებამ დღის წესრიგში დააყენა ეროვნული უმცირესობების საკითხიც საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებში. საკანონმდებლო დონეზე შემუშავდა მთელი რიგი დებულება, რომელიც გამოიჩინებდა ეროვნული უმცირესობებისადმი დემოკრატიული მიდგომებითა და მათთვის სწავლების ხელშეწყობით. ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს განათლების მდგომარეობის საკითხის დასმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკამ ზოგადად განსაზღვრა ქართული პოლიტიკური და ნაციონალური პროექტის ძირითადი სტრუქტურები, რაც გამოიხატა განათლების სფეროში გატარებული რეფორმებით. შესაბამისად, ჩვენ დავინახავთ, რომ:

1. ქართული სახელმწიფო ერთადერთი მისაღები პოლიტიკური ფორმაა ქართველი ერის განვითარებისათვის, როგორც ერი – სახელმწიფოს განვითარებისათვის.

2. დასავლეთი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების მოდელია.

3. საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა, რომელიც თავის ტერიტორიაზე აღიარებს კულტურულად გამორჩეულ ეთნიკურ უმცირესობებს, თუმცა მათგან ქართული ეროვნული პროექტისადმი ლოიალობას მოითხოვს.

ნინო ხიდიშელი

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო
სასწავლო უნივერსიტეტი

ქართული დამწერლობის როლი და მნიშვნელობა კრებულის „ქართული ანბანი – 33 ემოცია“ კვალდაკვალ

ჩვენი ანბანის, ენისა და დამწერლობის უნიკალურობაზე, განსაკუთრებულობასა და სიძველეზე მრავალი წელიწადი ნაშრომებს ქმნიან არა მხოლოდ ქართველი მეცნიერები, არამედ უცხოელი მკვლევრებიც.

ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც თავის თავში ქართულ აზროვნებასაც მოიცავს, სხვადასხვა დროს არაერთმა მწერალმა თუ პოეტმა მიუძღვნა როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ასევე პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები. თამამად შეიძლება ითქვას, თითქმის არ დარჩენილა მწერალი, პოეტი, მეცნიერი, რომელიც თავის შემოქმედებაში, ნააზრევში აღნიშნულ საკითხს თუნდაც მცირე დოზით მაინც არ შეხებოდა.

ქართული ანბანის მნიშვნელობაზე მსჯელობა, კვლევები აქტუალურობას არასოდეს კარგავს. ამის დადასტურებაა თუნდაც ბოლოდროინდელი რამდენიმე საგულისხმო ფაქტი. 2014 წელს ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ანბანი მსოფლიოს ხუთ ლამაზ დამწერლობას შორის მესამე ადგილზეა, ხოლო იუნესკომ 2016 წელს „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. ქართული ანბანის განვითარების ისტორიაში მასშტაბური, შთამბეჭდავი მოვლენა გახლდათ 2018 წელს გამართული ფრანკოფონიის წიგნის ბაზრობა, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით მოეწვინა მსოფლიო საზოგადოებას. ქართულმა მხარემ წარადგინა ანბანთქება და წიგნი „ქართული ანბანი 33 ემოცია“, რომლებითაც ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას, კეთილხმოვან ენას ფართო საზოგადოებაც გაეცნო.

ჩვენი მოხსენების თემა სწორედ აღნიშნულ კრებულს ეხმიანება. მისი მიზანია შევისწავლოთ ქართულ ანბანზე 33 თანამედროვე ქართველი მწერლისა თუ პოეტის მიერ განსხვავებული მწერლური ოსტატობით, ხელწერით შექმნილი ტექსტები და გამოვკვეთოთ, რაზე აკეთებენ ისინი აქცენტს ჩვენი თვითმყოფადობისა და იდენტობის განმსაზღვრელ ძირითად ნიშაზე წერისას. ამასთანავე, შედარებითი

ანალიზის საფუძელზე წარმოვაჩინეთ მათი წინამორბედების, კლასიკოსი შემოქმედების ნააზრევს ქართული სამყაროს შემმეცნებელზე.

კვლევის ამგვარად წარმართვა საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ სხვადასხვა თაობის ქართველი შემოქმედის განსხვავებული ფორმით თუ სტილით, დამოკიდებულებითა და ემოციით გამოხატული ნააზრევი ქართულ ენაზე, ქართულ დამწერლობაზე, „ადამიანად ყოფნის ნიშანზე“; სიღრმისეულად შევისწავლოთ საკვლევი თემა და წარმოვადგინოთ ჩვენი დასკვნები.

თამარ ჯაფოშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

არქაული ლექსიკა ორიგინალსა და თარგმანში (რომანების „ზაზუნისა და „პიკის ვალეტის“ მაგალითზე)

ბორის აკუნინის ორიგინალური ტექსტებისა და მათი ქართული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი მოწმობს იმას, რომ თარგმანის პროცესში ტრანსფორმირდება ორიგინალის ვერტიკალური კონტექსტი, რაც ართულებს ინტერტექსტუალური ელემენტების გამოვლენასა და დეკოდირებას. მიუხედავად ამისა, თანამედროვე კვლევები გვაძლევს საშუალებას ახლებურად მივუდგეთ პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებთა თარგმნის პრობლემას.

არქაული ლექსიკის სტილისტური ფუნქციების შესწავლა ბორის აკუნინის ნაწარმოებებში გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ ავტორის იდეური ჩანაფიქრი და სრულყოფილად აღვიქვათ მის მიერ აღწერილი მოვლენები. ბორის აკუნინის ნაწარმოებებში არქაული ლექსიკა გამოიყენება როგორც სტილიზაციის საშუალება და როგორც ტექსტის ქრონოტოპის ორგანიზაციის ხერხი.

ბორის აკუნინის დეტექტივში მოქმედება ხდება მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ავტორი ხშირად მიმართავს არქაიზმებს. რა თქმა უნდა, უამრავი ნაწარმოებია ისეთი, რომელშიც შემოქმედი სხვადასხვა ეპოქას აღწერს, მაგრამ არ იყენებს არქაიზმებს. ბორის აკუნინი ის მწერალია, რომელსაც სწორედ არქაული ლექსიკა გამოარჩევს.

სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დედნის არქაული ლექსიკა თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია. ამის გამო

მკითხველი მის არსებობასაც ვერ იგებს. ზოგან თარგმანი ინტერპრეტირებულია. კერძოდ, მოსულიშვილი თარგმნისას ხანდახან ბევრ ზედმეტ სიტყვას იყენებს. არქაიზმთა უმეტესი ნაწილი გადმოტანილია თანამედროვე ქართული ენით, ამიტომ თარგმანში დედნის არქაული ლექსიკა საერთოდ იკარგება. არქაიზმი გვხვდება, მაგალითად, ბეჟეცკაიას სახლის ხსენებისას. მას აკუნინი უწოდებს „чепчик“. რუსული ენის ლექსიკონების მიხედვით, „чепчик“ მოძველებული სიტყვაა და ნიშნავს ბრწყინვალე შენობას, სასახლეს. სამწუხაროდ, ქართულ თარგმანში ეს არქაიზმი საერთოდ გამოტოვებულია. მთარგმნელის მიერ არქაული ლექსიკის გამოყენებისასაც ვხვდებით უზუსტობებს, მაგალითად, „ბოქოული“ – ნაცვლად „ბოქაული“, „მონმა“ – ნაცვლად „მონმე“. მთარგმნელი იყენებს ზმნებს მკითხველისთვის გაუგებარი ფორმით: „შეირბინევით“, „დასწერევით“, „დაასრულევით“, „ვიფიქრევი“ და სხვა.

მთარგმნელობითი შეცდომების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა მთარგმნელობითი საქმიანობისადმი, სადაც კულტურათაშორისი კომუნიკაცია წარმოადგენს ურთიერთობის ნორმასა და სოციალურ ურთიერთქმედებას.

გიორგი ჯღარკავა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

პირის დეიქსისით გამოხატული რეფერენციულობა ქართველურ ენათა ანდაზებში

ანდაზის, როგორც ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტის, შესწავლა საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით აქტუალური და გადაუდებელი საქმეა, რადგან ცნობილია, რომ პარემიულ ფონდში კარგად ჩანს ერის კულტურა და აზროვნების თავისებურება. ამასთან, ანდაზებში აისახება მოცემული ენის იმანენტური ბუნება და სიტყვათქმნადობის შესაძლებლობები. ანდაზა იქმნება ერთი პირის მიერ, რომელიც ხან კონკრეტულია, ხანაც – განზოგადებული; ამიტომ, პირთა განაწილებისა და ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ანდაზა საინტერესო და თავისებურ სურათს წარმოაჩენს. ან-

დაზის ენისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს შორის ყურად-
ღებას იქცევს **პირის დეიქსისი და მასთან დაკავშირებული პრაგმა-
ტიკული ასპექტები**. მოხსენება ეხება ქართულ, მეგრულ, ლაზურ და
სვანურ ანდაზებში რეფერენციულობის კატეგორიისა და I და II
პირთა ფუნქციური განაწილების პრინციპების ასახვას.

ანდაზური ფონდი რეფერენციის თვალსაზრისით განსაკუთ-
რებით საინტერესოა, ვინაიდან ანდაზა ზოგადრეფერენტული ერ-
თეულია და იგი შეიცავს რაიმე განზოგადებულ დასკვნას, სიბრ-
ძნეს, რომლის მნიშვნელობაც მინიმალურად არის დამოკიდებული
არსებულ კონტექსტზე, მასში მონაწილე ობიექტებზე. აღწერით-
სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი და სუბსტიტუციის მე-
თოდების გამოყენებით სათანადო ემპირიული მასალის ანალიზი
აჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ქართველურ ენათა ანდა-
ზებში III პირის ნაცვლად I ან II პირია გამოყენებული. გრამატიკუ-
ლი დეიქსისის ამგვარი რეფერენციალურად ნეიტრალიზებული
განსხვავება ანდაზებში დაკავშირებულია გარკვეულ პრაგმატულ
კონტექსტებთან. კერძოდ:

i. მოლაპარაკე პირის გაგება ანდაზაში განზოგადებულია ორი-
ვე რიცხვის – მხოლობითისა და მრავლობითის – შემთხვევაში. პა-
რემიებში I პირის პრაგმატული შინაარსი ვერ თავსდება გრამატი-
კული I პირის, ანუ რეალურად მოსაუბრე პირის, სემანტიკაში.

ii. მოლაპარაკე პირის გაგება ანდაზაში იმდენად განზოგადე-
ბულია, რომ იგი გამოიყენება არა ერთი კონკრეტული, არამედ ნე-
ბისმიერი ადამიანის შინაგანი განცდების, გამოცდილებისა და
ემოციების გამოსახატავად, რის გამოც, I პირს ანდაზაში განსა-
კუთრებული დატვირთვა ეძლევა – მეტ დამაჯერებლობას სძენს
ანდაზის შინაარსს. მოსაუბრე მსჯელობს საკუთარი გამოცდილე-
ბიდან გამომდინარე, იძლევა გარკვეულ რჩევა-დარიგებებს და
ამით უშუალო კავშირსაც ამყარებს მსმენელთან;

iii. ანდაზებში II პირიც ხშირად განზოგადებულია და მოკლებუ-
ლია კონკრეტიზაციას. **შენ** ფორმით წარმოდგენილი მიმართვის
ობიექტი არის არა რომელიმე კონკრეტული პირი, არამედ ზოგა-
დად ხალხი. ამასთან, ეს უკანასკნელი, I პირთან შედარებით, გაცი-
ლებით პროდუქტიულია, რისი მიზეზიც ის არის, რომ ანდაზაში II
პირი მსმენელისადმი მიმართვის უშუალო ობიექტია.

A b s t r a c t s



Lela Abdushelishvili

International Black Sea University

Developing intercultural competence in the process of developing mediation skills while teaching business communication

The business world today is facing a lot of challenges. To be more specific, corporate models and technologies are permanently developing with the view of meeting the requirements of customers in the most efficient manner, there is much focus on increased customer satisfaction and the growing demand for working under changing circumstances. Another challenge is internationalization of business and related demands. All this creates the need for having special skills and strategies to be able to handle the tasks and responsibilities effectively and communicate with confidence and a team approach which should lead to win-win solutions. From this perspective, in the process of teaching business communication it is crucial to develop intercultural competence and at the same time enhance mediation skills for getting to win-win solutions which yields numerous benefits provided that mediation skills assist the parties work together with the view of developing their own agreement and move forward.

Two methods of research were used in the process: observation and in-depth interview by means of which it was determined that to get the desired results and ensure satisfaction of both parties, it is essential for the participants in the communication process to use mediation skills, competence of establishing positive communication with the opponent, create respective impression about cultural peculiarities of the opponent and express maximum effort to achieve the final outcome.

Sara Ahmadova

National Museum of History of Azerbaijan

The role of Mountain Jews in the Development of Jewellery Art of Azerbaijan

Azerbaijan is a country with a rich cultural and spiritual heritage and traditions of tolerance. Azerbaijan, located at the crossroads of various civilizations for many centuries has become famous as a country where the atmosphere of national cultural diversity was formed.

The population of Azerbaijan, including Baku, increased as a result of the development of the oil industry in the 19th century. Ethnic map of

Azerbaijan changed by the coming of foreigners from all over the world. At the same time, it paved the way for the increase in different kinds of art in Azerbaijan cities. One of the types of art was jewellery. There were members of Mountain Jews among the jewellers of Azerbaijan. In the following period, they became famous not only in Azerbaijan but also in all South Caucasus.

Mountain Jews compactly live in Red Sloboda of Guba, the region of Azerbaijan, separately in Oghuz, Gabala and Baku cities. The term "Mountain Jews" was firstly mentioned by Russian researchers in the 19th century. Mountain Jews from the settlement in Azerbaijan territory began to actively take part in the socio-political life of Azerbaijan. There were various opinions about Azerbaijan Jews in history. One group of historians claims that they were migrated, others state that they were one of the parts of "tat" (one of the Iranian ethnic group) ethnic group and later adopted Judaism.

There have been no ethnic and religious conflict between Azerbaijanis and Jewish people from ancient periods till today. The Mountain Jews in Azerbaijan do not have any problems in maintaining their national and religious traditions and ethnicity in general.

Eter Bokelavadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

International Recognition of the Autocephaly of the Orthodox Church of Georgia and Attitude of the Orthodox Church of Alexandria (The 80s of XX Century)

For Georgian Apostolic Orthodox Church the 80s of 20th century was a period of significant events. The relevance of the era has been determined by both the religious policy of the Soviet authorities of that period and the processes that used to take place in international political and ecclesiastical circles, which had an impact on the activities of the Georgian Orthodox Church.

The object of our research is one of the most urgent problems of the 80s of the last century – the international recognition of the Autocephaly of Georgian Orthodox Church and *patriarchal title* and an attitude of the ancient Patriarchate of Alexandria.

It is well known that in the second half of the 20th century, the Patriarchates of Georgia and Constantinople were intensively working on the recognition of the historical autocephaly of the Georgian

Apostolic Church; though the World Patriarchate had the ambiguous attitude towards this issue. Besides, in the official epistles or Greek ecclesiastical calendars sent from the World Patriarchate of Constantinople to Georgia, the Church of Georgia was always mentioned as an autonomous church, with its Patriarch mentioned as archbishop. Despite repeated statements of Georgian Patriarchate regarding falsification of its status, the attitude of the Greek side on this issue has not changed for a long time. The dialogue between the two patriarchates had been going on for years, which obviously put the Georgian Church in a difficult position. In the given situation, the support of the ecclesiastical circles of the world, especially the support of the ancient Orthodox patriarchates, was of great importance for Georgian Patriarchate.

The ancient Orthodox Patriarchate of Alexandria, which in that period used to have a tradition of centuries-old relations and close ecclesiastical and diplomatic cooperation with Georgian church, played an important role in this regard.

The work reflects the main trends of relations between the Patriarchates of Georgia and Alexandria in the 80s of 20th century; The struggle of Georgian Church for international recognition of its historical rights and the attitude of the Orthodox Church of Alexandria, which contributed significantly to the resolution of the issue in favour of the Georgian Church.

Nino Bokelavadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Biblical Bases of Pshav-Khevsurian Customs and Traditions

It is well known that religion plays an important role in shaping the culture of any nation. In many cases, exactly religious dogmas form the basis for different kinds of customs or traditions. However, the nation's mentality and attitude of the society towards the perceptions of religious dogmas must also be considered. When the belief of the society is merged with common sense, then tradition is conceived in its essence and is not solely based on the behavioural heritage of ancestors. But if society is focused only on the precise performance of the cult rituals of its ancestors and does not try to understand its content, then this path, over time, will undoubtedly lead to the distortion of various dogmas, and as a result, the tradition will lose its original, true roots. Within the scope of this work, our goal is to provide a comprehensive study of the

customs and traditions of Georgian mountaineers, and in particular their religious bases. Old Testament law and parallels with Pshav-Khevsurian traditions such as marriage, host and guest, the redemption of sin from “Khati” (holy religious place), blood feuding (revenge), the Sabbath of Rest etc. We also find interesting the similarities between the Pshav-Khevsurian and the old-testament laws, in particular, the rules of the outcast and corporal punishment (stoning). The study is based on both biblical texts and Pshav-Khevsurian traditions and writings, as well as the works of various scholars.

We can conclude that the bases of most rules and traditions existing in mountain people, lay in old-testimonial religion. Highlanders' commitment to these traditions was so strong, that even after the born of Savior, in spite of the changing of a number of ancient dogmas, some people from Eastern mountain regions of Georgia still continued to follow these traditions in the 19th century as well.

In many cases, it was a lack of moral judgment and a blind realization of the behavioural heritage of ancestors, what in some cases estranges mentality of the mountaineers from Christian ideology, what in its very essence is based on humanitarian principles. Thus, the above is a reason that many traditions have been influenced by various, local religious factors.

Mzisa Buskivadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Modernization Process and Problem of Identity in Ahmet Hamdi Tanpinar's Works (Novels: *A Mind at Peace* and *The Time Regulation Institute*)

The modernization process in Turkish literature is directly related to the processes that have historically unfolded in the country. Embracing the western orientation by the Ottoman Empire in the 19th century stemmed from the reality that could be identified as a regression of thought. The very regression was related to the depletion of available intellectual or physical resources. In 1839, the country's pro-European course was officially declared by Tanzimât Fermâni (i.e. the Tanzimât Edict). The modernization-related process which affected almost every area of public life caused dualism of the same society. Modernization in literature manifested itself in terms of both genre and subject matter as well as esthetics. The issue of pseudo-modernization occupies an important place in the works of writers of the Tanzimât period. The

modernization-related difficulties have become even more evident in the Turkish literature of the Republican period. The aforementioned difficulty proves itself not only at the social but also on the individual level. The focus shifts to the national identity.

The very topic represents one of the vital themes in Ahmet Hamdi Tanpınar's works. His writings clearly reveal the dualistic sentiments of the society that result from the conflict between national and European values. The novels that have been selected for further analysis, reveal certain similarities. Both novels underline the risk of identity loss due to "new age", "new ideology". The threat itself is a result of the complete denial of the nation's past experiences and blind acceptance of the European values. Despite the age difference, the novel's protagonists perceive the temporal triad of past, present and future as an unbroken chain. There are characters in both novels who provide an example of best experiences, traditions and values of the past. Through the description of the environment, and depiction of ruined and empty buildings as well as pale-faced and unhealthy men, the author emphasizes the actual reality that the society is facing. It is noteworthy that the given reality is more of a "pathology" of consciousness, rather than the physical reality.

The main character of the novel entitled *A Mind at Peace* is a young man educated in Europe who is focused more on his inner rather than the outer world. He does not believe that Europe is to be blamed, but rather identifies unhealthy consciousness of the society as a problem.

Hayri İrdal, the main character of the novel entitled *The Time Regulation Institute* is fascinated by the "new age" ideas only because he enjoys material well-being.

The novels have an underlying idea that willingness of the society is essential for modernization since regression is otherwise inescapable.

Tamar Chankseliani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Comparative-Controversial Analysis of Particles Expressing the Denial of the Possibility of an Action in Kartvelian Languages

The present paper deals with the structural-semantic analysis of particles that express the denial of the possibility of an action in Kartvelian languages. It aims to study the particles of this type in these languages using the comparative method in order to reveal common and different linguistic characteristics.

As known, in the Georgian language, the denial of possibility is expressed by the negative particles *ver* “cannot” that has a number of equivalents in Svan, unlike Megrelian-Laz. The main part of them is *deš* “cannot”, It is widespread in all four dialects of Svan. Except for the listed particles, There is a particle in the Svanur language *moš* “cannot”, which independently has no semantics. The forms with the particle *moš* “cannot” in the construction denote not only the restriction of ability, but also possession or lack of the ability, or, to be more precise, its dubitability.

This difference in number conditioned the creation of this work. Since the structural-semantic analysis of negative particles based on the empirical material of Kartvelian languages is a complex issue, we have decided to study only those particles that express the denial of the possibility of an action in Kartvelian languages in terms of contrast and comparison.

Although at different times a number of scholars have worked on the issue of particles expressing the denial of the possibility of an action and published their papers, our research topic is relevant because it can fill the gap that is specifically related to the semantic equivalence of the forms of the particle *ver* “cannot” in Kartvelian languages. The issues analyzed in the work are important in terms of the comparative morphology of Kartvelian languages, as well as to find the difficulties caused by different stylistic peculiarities during the process of translation.

The work consists of the introduction, the main parts of the text and the conclusion. It is accompanied by the table of contents, the list of the used literature and references. The introduction gives information about the goals of the research, the used methods and the history of studying the issue. It tells about the topicality of the research and the tasks to achieve the desired results.

The theoretical part of the work is based on Georgian and foreign scientific papers concerning the issue published at different times. The abundant empirical material based on a) published texts, b) electronic sources and c) the material obtained during the field works in Svaneti and Samegrelo in 2018-2019 has been processed.

The Problem of Nationalism and National Identity In Ukrainian Literary Discourse in the 60s of the 20th Century

Twentieth-century Ukraine offers a variety of panoramas in terms of literary processes, literary life, and deserves the attention of both philologists and historians alike. Its second half is particularly interesting, as the transition phase of each century. The writers famous with the name of "Sixties" started to appear in the 60s of the XX century. They bring youth, poetry filled with novelty and experiments. Their activity is called Coincides with the period of "Thaw". This is the era when the question of national identity and cultural identity in literature and art come to the forefront (in the Soviet space). The blurred boundaries of Soviet hybrid and its cultural identity ("My Address is the Soviet Union") made it more necessary for people to answer the questions: who they are, where they come from and what they represent ("Everything can be chosen except for the homeland." V. Simonenko; "The Ukraine is called everything: a factory, a department store, a shop ..." L. Kostenko; " Literature is to serve the National Case, National Idea" B. Antonenko-Davidovich"); Consequently, the young writers were assigned an important mission in this regard.

Dmitro Pavlychko, Lina Kostenko, Ivan Drach, Mykola Vigranovsky and others have created brilliant works that do not lose their relevance today due to their talent and innovation. Meetings at Ivan Svitlichny's House; Boris Antonenko-Davidovich's Studies about the Ukrainian Language; Ivan Dziuba's monograph "Internationalism or Russification"; Vasil Simonenko's diaries; Samizdats by Lina Kostenko; Alla Horska's painting as a performance against the Iron Curtain- this is an incomplete list of facts and events that eventually created the phenomenon of "sixties."

The more the Soviet authorities sought to rationalize the Ukrainian people, the stronger the longing for national identity became, the more the problem of the individual emerged. National means individual and on the contrary, own equals to national; This is a slogan of the Sixties, that was not censored. The literary discourse expressing national identity was perceived in itself as a dissident act or movement.

The Sixties writers considered as their duty to continue the tradition of "Executed Renaissance" writers in literature and create a new culture. In the century imbued with the ideology of socialist realism and in the more or less modernized writings, the work of the 'Sixties' served the

function of oxygen for the reader. However, the price was not very favourable for dissent opinions and speech.

The question of nationalism and national identity in Ukrainian literature is related to the period of "Thaw" and the work of the "Sixties". Folk and ethnocultural motives are quite organic for writers working in a period of persecution and social oppression.

Omiko Ejibia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Al-Idrisi about Georgia

**ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმის
სამეცნიერო კომიტეტი:**

- ნანა გაფრინდაშვილი** – პროექტის ხელმძღვანელი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- გოჩა ჯაფარიძე** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
- დარეჯან გარდავაძე** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- დარეჯან თვალთვაძე** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
- ეკატერინე ნავროზაშვილი** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოც. პროფესორი;
- ზვიად ცხევიანი** – აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი;
- თამარ მოსიაშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი;
- ზაალ აბაშიძე** – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;
- გიორგი ალიბეგაშვილი** – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;
- რეუვენ ენოხი** – ისრაელის არიელის უნივერსიტეტი, ისრაელის მემკვიდრეობის დეპარტამენტის პროფესორი;
- იასუჰირო კოჯიმა** – ტოკიოს უცხო ენათა ინსტიტუტი, იაპონია;
- ბერნარ უტიე** – სამეცნიერო კვლევათა საფრანგეთის ეროვნული ფონდის წევრი, საფრანგეთი.

**ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის
საორგანიზაციო კომიტეტი**

- ივანე მჭედელაძე** – პროექტის კოორდინატორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტის სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი;
- ნინო კვირიკაშვილი** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, დოქტორანტი;
- თეა ქამუშაძე** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ანთროპოლოგიის დოქტორი;
- გიორგი ჯღარკავა** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი;

სოფიო თოთიბაძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი;

ელენე ლურსმანაშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი;

ელისო ქელიძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, დოქტორანტი;

ლანა ქარაია – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

Scientific Committee of III International Symposium for Young Scholars

Nana Gaprindashvili – Project Supervisor, Dean of the Faculty of Humanities, TSU, Professor;

Gocha Japaridze – Professor, TSU Faculty of Humanities;

Darejan Gardavadze – Head of the Quality Assurance Office of the Faculty of Humanities, Professor;

Darejan Tvaltvadze – Professor, TSU Faculty of Humanities;

Ekaterine Navrozashvili – Head of the Scientific research and development Office of the Faculty of Humanities, Associated Professor;

Zviad Tskhvediani – Associate Professor, Akaki Tsereteli Kutaisi State University, Faculty of Humanities;

Tamar Mosiashvili – Associate Professor, Ilia State University, Faculty of Arts and Sciences;

Zaal Abashidze – Director of Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, Professor, St. Andrew the First called Georgian University;

Giorgi Alibegashvili – Head of State Language Department, Professor, St. Andrew the First Called Georgian University;

Reuven Enoch – Professor, Israel Ariel University, Heritage Department of Israel;

Yasuhiro Kojima – Lecturer, Tokyo Institute of Foreign languages, Japan;

Bernard Outtier – Dr. hab. Academician, French National Center of Scientific Research, France.

Organizing Committee of III International Symposium for Young Scholars

Ivane Mchedeladze – Project Coordinator, PhD in Philology, specialist of TSU Center of Ukrainian Studies;

Tea Kamushadze – Senior Specialist, Department of Educational Process Management, Faculty of Humanities, TSU, PhD in Anthropology;

Nino Kvirikashvili – Senior Specialist, Department of Quality Assurance, Faculty of Humanities, TSU, PhD student;

Giorgi Jgharkava – Faculty of Humanities, TSU, PhD student;

Sopio Totibadze – Faculty of Humanities, TSU, PhD student;

Elene Lursmanashvili – Faculty of Humanities, TSU, MA student;

Eliso Chelidze – Senior Specialist, Department of Educational Process Management, Faculty of Humanities, TSU, PhD student;

Lana Karaia – Faculty of Humanities, TSU, PhD student.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეთერ ბოკელავაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების საკითხი და ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია (XX საუკუნის 80-იან წლებში)	11
ნინო ბოკელავაძე. ფშავ-ხევსურთა ადამ-წესებისა და ტრადიციების ბიბლიური საფუძვლები	12
მზისა ბუსკივაძე. მოდერნიზაციის პროცესი და იდენტობის პრობლემა აჰმედ ჰამდი თანფინარის შემოქმედებაში (რომანები „სიმშვიდე“ და „დროის მარგულირებელი ინსტიტუტი“)	14
სალომე გეგეჭკორი. ტერმინი „გამოცანა“ ქართულსა და მეგრულში: სტრუქტურა და სემანტიკა	15
სოფიკო გელიაშვილი. იდენტობის პრობლემა ჯუნა ბარნსის რომანში „ქალთა აღმანახი“	16
ლილიანა გოგჩიაშვილი. ჯონ დონის სატრფიალო ლირიკა – ტრადიცია და ხატოვანება	18
რუსუდან გოგობია. სოციალური მედიის როლი უცხოური ენის ათვისებისას	19
თამთა გრიგოლია. კენთ ვაითის გეოპოეტიკა და „ვეფხისტყაოსანი“	21
მარიამ გურგენიძე. ქრისტიანობის გავრცელება დანიასა და შვედეთში წმინდა ანსგარის მოღვაწეობის აღწერის ანალიზის საფუძველზე	23
ნათია ზოიძე. დროის საკითხი ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“	24
თინათინ თვალჭრელიძე. ჯემალ ქარჩხაძის რომან „მდგმურის“ ჰერმენევტიკული წაკითხვისათვის	25
ნათია იაკობიძე. პროფესიული ჟარგონის საკითხი ქართულ ენაში	27
ნათია კენჭიაშვილი. თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებებში	28
მაია კვირკველია. ტროპული მეტყველება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში	29
მარიამ კილანავა, ლოლიტა შენგელია. ცხოვრებისეულ ასპექტთა ინტეგრირება უცხო ენის სწავლებისას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის საშუალებით	30
ლუკა კუჭუხიძე. ბუნების ბიფურკაციის პრობლემა ალფრედ ნორთ უაიტჰედის ფილოსოფიაში	31
თინათინ ლეკიაშვილი. შუასაუკუნეობრივი აზროვნების ერთიანი სტრუქტურა და მოვლენათა ჰიპერბოლიზაცია ქართულ საერო ლიტერატურაში	33
ეკატერინე მაისურაძე. ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის შენარჩუნების მთავარი მარკერი	34
ანი მაღლაკელიძე. „გიორგობისთვე“ – მხატვრის მინიმალისტური ხედვა (მხატვარი დიმიტრი ერისთავი)	36
ნინო მესხი. დოსტოევსკის «Сон смешного человека» ქართულ ენაზე	37

სოფიო მოდებაძე. მუსიკა და ადორნოს „ნეგატიური დიალექტიკა“	38
ივანე მჭედლაძე. ლიტერატურული პროცესის კომუნიკაციური კონტექსტები: ძველი ქართული მწერლობის რეცეფცია უკრაინულ ორიენტალისტიკაში	39
თამარ ნამგლაძე. საბჭოთა იდენტობის პოლიტიკა და საბავშვო მხატვრული ლიტერატურა (ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ მაგალითზე)	41
თათია ობოლაძე. არქეტიპული კრიტიკა: ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები	42
ეკა ორაგველიძე. სიყვარული დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით	44
ნინო პოპიაშვილი. ქართულ-ოსური ლიტერატურული, ლინგვისტური და საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში	45
ნინო ჟვანია. ჯემალ ქარჩხაძის რომან „მდგმურის“ თარგმნისას ნარმოჩენილი სირთულეები	46
ნიკოლოზ ჟღენტი. მთის წმ. გიორგის მონასტრის საეკლესიო სიძველეები	47
ირინე საგანელიძე. მრავალეთნოსური თბილისის მულტიკულტურული ტრადიციები (კულტურული მოვლენები, ისტორიული პროცესები, საზოგადო მოღვაწეები)	49
თინათინ სოზიაშვილი. ლაითურის თანამედროვე ყოფა: ჩაის ადგილი მეხსიერებასა და ყოველდღიურობაში	50
ნინო ფალავანდიშვილი. სემიოტიკაზე ორიენტირებული მეტა- ფორიზებული ტექსტების თარგმნის პრობლემები (გიუნტერ გრასის ქართულად თარგმნილი ტექსტების მიხედვით)	52
ნათია ფურცელაძე. გრიგოლ რობაქიძის უცნობი საარქივო მასალები იენაში	53
თეა ქამუშაძე. საკრალური ადგილები იძულებით გადაადგილებულ პირთა მეხსიერებაში: გამოცდილება, იდენტობა და გამოწვევები	54
მიხეილ ქართველიშვილი. ჟურნალი «Наука и религия» („მეცნიერება და რელიგია“) და მისი ადგილი საბჭოთა ანტირელიგიურ პოლიტიკაში 1959-1964 წლებში	56
თამთა ლონღაძე. ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას პროზის ურთიერთმიმართებისათვის	57
თამარ ლულუნიშვილი. ომი პიროვნული და კულტურული ტრადიციის კონტექსტში (ქართველი და ირანელი მწერლების მოთხრობების მიხედვით)	59
ლიკა შონია. საბჭოთა პერიოდის მეგრული სიტყვიერების პოეტური ნიმუშები: სათაურის სტრუქტურა და სემანტიკა	60
თამარ ჩანქსელიანი. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ქართველურ ენებში	61

სოფიო ჩხატარაშვილი. ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის პრობლემა XX საუკუნის 60-იანი წლების უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსში.....	62
მაია ცერცვაძე. ბაბო შარვაშიძის მეშუარები – ნონფიქშენის საყურადღებო ნიმუში.....	64
ქეთევან ციმიტია, იოსებ შენგელია. საზედაშე ქვევრები სამეგრელოს ძველ და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში	65
გიორგი ცომაია. სასამართლო პროცესი საბჭოთა კავშირში გენერალ ანდრეი ვლასოვისა და რგა-ს ხელმძღვანელების წინააღმდეგ	66
მარიკა ჭითანავა. წმ. მარკოზ მახარებლის ლიტურგია	68
ანა ხვედელიანი. სკოლის რეორგანიზაცია, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების საფუძველი (1918-1921)	69
ნინო ხიდიშელი. ქართული დამწერლობის როლი და მნიშვნელობა კრებულის „ქართული ანბანი – 33 ემოცია“ კვალდაკვალ	71
თამარ ჯაფარიშვილი. არქაული ლექსიკა ორიგინალსა და თარგმანში (რომანების „ზაზუნისა და „პიკის ვალეტის“ მაგალითზე)	72
გიორგი ჯღარკავა. პირის დეიქსისით გამოხატული რეფერენციულობა ქართველურ ენათა ანდაზებში	73

C O N T E N T S

Lela Abdushelishvili. Developing intercultural competence in the process of developing mediation skills while teaching business communication	77
Sara Ahmadova. The role of Mountain Jews in the Development of Jewellery Art of Azerbaijan	77
Eter Bokelavadze. International Recognition of the Autocephaly of the Orthodox Church of Georgia and Attitude of the Orthodox Church of Alexandria (The 80s of XX Century)	78
Nino Bokelavadze. Biblical Bases of Pshav-Khevsurian Customs and Traditions.....	79
Mzisa Buskivadze. Modernization Process and Problem of Identity in Ahmet Hamdi Tanpınar's Works (Novels: <i>A Mind at Peace</i> and <i>The Time Regulation Institute</i>)	80
Tamar Chankseliani. Comparative-Controversial Analysis of Particles Expressing the Denial of the Possibility of an Action in Kartvelian Languages.....	81
Sophio Chkhatarashvili. The Problem of Nationalism and National Identity In Ukrainian Literary Discourse in the 60s of the 20th Century	83
Omiko Ejibia. Al-Idrisi about Georgia.....	84
Linda Eltermene. The Center of Intercultural Dialogue of Academic Library of University of Latvia as a tool for developing Latvian-Georgian relations.....	85

Erdoğan Bada, Yonca Özkan. English Language Teachers' views on Nateness and Non-nateness of English Teachers.....	85
Aslan Allahshukur Gasimov. Nakhchivan Archaeological Culture (Based on pottery collection of National Museum of History of Azerbaijan)	86
Salome Gegetchkori. The Term <i>gamotsana</i> "Riddle" in Georgian and Megrelian: Structure and Semantics	87
Sophiko Geliashvili. The Problem of Identity in Djuna Barnes' "Ladies Almanack"	88
Maguli Ghambashidze. The Modal Verb „khel-tsipheba“ in Georgian Literary Language.....	89
Tamta Ghonghadze. The Interrelationship between Ilia Chavchavadze's and Vazha-Pshavela's Prose	90
Tamar Ghughunishvili. War within the Context of a Personal and Cultural Trauma (based on works of Georgian and Iranian Authors).....	91
Zaal Gogenia. 18 July 1936 Coup d'État and the Attempts of Its Legitimization during the First Period of the Francoist Regime.....	92
Liliana Gogichaishvili. John Donne's Love Poems- Tradition and Figurativeness	94
Rusudan Gogokhidi. The role of Social Media in Language Learning.....	94
Tamta Grigolia. Modern Concepts of Space and <i>The Man in the Panther's Skin</i>	95
Mariam Gurgeni. The Spread Of Christianity in Denmark and Sweden	97
Sopiko Gvritishvili. Application of Pragmatics: Presupposition as discourse strategy in court examinations on the basis of practice in American and Georgian courts	98
Elnur Latif oglu Hasanov. Academic Significance of Research of Traditional Carpet Ornaments of Ganja.....	99
Elmira Huseynova. Distinctive Properties Between Semantics And Pragmatics	100
Natia Iakobidze. The Issue of Professional Jargon in the Georgian Language	101
Sadequl Islam. Techno-Aide Google Classroom for Learning English: Prospects & Challenges	102
Gulom Ismailov. Linguocultural Study of Axiological Aspects of The Turkish Phraseologisms.....	103
Aida Ismailova. Glazed Ceramics of the Medieval Cities of Azerbaijan and Eastern Georgia: Similar and Distinctive Features, Local Traditions.....	104
Tamar Japhoshvili. Archaic Vocabulary in Original and Translated Texts (according to B. Akunin's Romances "Azazel" and "Jack of Spades")	105
Giorgi Jgharkava. Reference Expressed by Person Deixis in Kartvelian Proverbs.....	106
Zhainagul Kadirkulova. Labour migration in Kyrgyzstan (Socio-economic consequences).....	107
Tea Kamushadze. Sacred sights in the memory of internally displaced	

persons: experience, identity and challenges	108
Mikheil Kartvelishvili. The journal «Наука и религия» (“Science and Religion”) and its place in Soviet Anti-religious Policy 1959-1964.....	109
Natia Kentchiashvili. Translations of the Georgian Rhetoric	110
Ilaha Khantamirova. Development Stages of Azerbaijan Education in the 19 th – Early 20 th Centuries	110
Nino Khidisheli. The Role and Importance of the Georgian Script according to the Collection “Georgian Alphabet – 33 Emotions”	111
Ana Khvedeliani. Reorganization of School as a Fundament of the Formation of National Identity (1918-1921).....	112
Mariam Kilanova, Lolita Shengelia. Bringing real-life aspects in EFL class through the Problem Based Learning	113
Michal Kozdra. Lexicographic description of lexical parallels in The Learner’s Thematic Dictionary of Russian-Polish Lexical Parallels	114
Luka Kuchukhidze. The Problem of the Bifurcation of Nature in Alfred North Whitehead’s Philosophy.....	115
Nino Kuratishvili. Irony and sarcasm – restoring the image of Muslim culture in Western society	115
Maia Kvirkvelia. Tropes in the poetry of the 70s of the twentieth century	116
Tinatin Lekiasvili. The unified structure of medieval thinking and hyperbolization of facts in Georgian secular literature	117
Ana Maglakelidze. “Giorgobistve” – A Minimalist View of the Artist (Artist Dimitri Eristavi)	118
Ekaterine Maisuradze. The Georgian Language as the main marker of the identity of Georgian Muslims in the Batumi District.....	119
Ivane Mchedeladze. Communicative Contexts of Literary Process: Reception of Old Georgian Literature in Ukrainian Oriental Studies	120
Nino Meskhi. The Dream of a Ridiculous Man by Dostoevsky into the Georgian language	121
Sophio Modebadze. Music and “Negative Dialectic” of Adorno.....	122
Tamar Namgladze. Soviet Identity Politics and Children’s Literature (Based on L. Lagin’s “Old Man Khottabych”).....	123
Tatia Oboladze. Archetypal Criticism: Traditional and Modern Approaches...	124
Ulisses Tadeu Vaz de Oliveira. Antisemitism in Galician-Portuguese songs: identities and anachronisms in medieval discourse.....	125
Eka Oragvelidze. Love according to David Guramishvili’s “Davitiani”	126
Nino Phalavandishvili. Problems in Translating Semiotics-oriented Metaphorical Texts	127
Maurizio Petrocchi. From the tupamaros to the red brigades, common tactics and strategies of urban guerrilla.....	128
Nino Popiashvili. The Georgian-Ossetian Literary, Linguistic and Educational Relations in the XVIII-XIX Centuries	129
Natia Purtseladze. Grigol Robakidze’s unknown archive materials in Jena.....	129
Natia Putkaradze. Towards some issues of the classification of the secondary adverbs in Georgian.....	130

Shukrije Rama. Students 'Attitudes Toward Higher Education.....	131
Giorgi Rikadze. Influence of Russia on the Processes Going on in the Middle East: Syrian War	132
Aigun Rustemova. Psychological Characteristics of Adaptation of Junior Schoolchildren to Training Activity	133
Irine Saganelidze. Multicultural Traditions of Multiethnic Tbilisi (Cultural Events, Historical Processes, Public Figures).....	134
Lika Shonia. Poetic Patterns of Megrelian Verbalism in the Soviet Period: Structure and Semantic of the Title	135
Tatiana Smirnova-Cotet. Cross-cultural Pragmatics in the Course of Russian as a Foreign Language for Turkmen Students.....	136
Tinatin Soziashvili. The modern life of Laituri: a place for Tea in Memory and Everyday Life	137
Sonakshi Srivastava. The Uneasy Easiness of Comedy and the Oriental Question in 'A Horse Walks into a Bar.....	138
Sopio Totibadze. The Role of Fairy Tales in the Development of Gendered Stereotypes among Children.....	139
Maia Tsertsvadze. Babo Sharvashidze's Memories – A notable specimen of Non-fiction	140
Ketevan Tsimintia, Ioseb Shengelia. Sacramental Kvevri in old and modern life in Samegrelo.....	141
Giorgi Tsomaia. The trial of General Andrei Vlasov and other leaders of the RLA.....	142
Tinatin Tvaltchrelidze. Jemal Karchkhadze's novel "Resident" (Hermeneutical Interpretation)	143
Marika Tchitanava. Liturgy of Saint Mark the Evangelist.....	144
Smriti Verma. Self-Fashioning and Recuperation: Meaning- Making in Amitav Ghosh's The Shadow Lines.....	145
Natia Zardiashvili. Emotive implicatures in the rhetoric of Muslim women ...	146
Nikoloz Zhgenti. Mtis St. George Monastery Ecclesiastical Artifacts	147
Nino Zhvania. Translating difficulties of the novel “The Tenant” by Jemal Karchkhadze.....	148
Natia Zoidze. The Issue of Time in Virginia Woolf’s “Waves”	149

ეთერ ბოკელავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების საკითხი და ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია (XX საუკუნის 80-იან წლებში)

XX საუკუნის 80-იანი წლები მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. ეპოქის აქტუალურობას განსაზღვრავს როგორც მოცემული პერიოდის საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ და საეკლესიო წრეებში მიმდინარე პროცესები, რომლებმაც თავისი გავლენა იქონიეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობაზე.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს გასული საუკუნის 80-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების (ტიტულის) საერთაშორისო აღიარება და ალექსანდრიის უძველესი საპატრიარქოს პოზიცია.

ცნობილია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებს შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხზე, რასთან დაკავშირებითაც მსოფლიო საპატრიარქოს ორაზროვანი პოზიცია ჰქონდა. აღნიშნულმა ყველაზე თვალსაჩინოდ იჩინა თავი გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო მართლმადიდებლურ ფორუმზე საქართველოს ეკლესია ახალგაზრდა, ავტონომიურ ეკლესიად იქნა წარდგენილი. გარდა ამისა, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოდან საქართველოში გამოგზავნილ ოფიციალურ ეპისტოლეებსა თუ ბერძნულენოვან საეკლესიო კალენდრებში საქართველოს ეკლესია მუდმივად ავტონომიურ ეკლესიად ფიქსირდებოდა, მისი მწყემსმთავარი კი მთავარეპისკოპოსად იხსენიებოდა. მიუხედავად ქართული საპატრიარქოს მხრიდან თავისი სტატუსის ფალსიფიცირებაზე მრავალგზის მითითებისა, ბერძნული მხარის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით დიდხანს არ შეცვლილა. დიალოგი ორ საპატრიარქოს შორის წლების განმავლობაში გაგრძელდა, რაც, ბუნებრივია, რთულ

მდგომარეობაში აყენებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. შექმნილ ვითარებაში საქართველოს საპატრიარქოსთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს საეკლესიო წრეების მხარდაჭერას, განსაკუთრებით კი უძველეს მართლმადიდებლურ საპატრიარქოთა თანადგომას.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი ალექსანდრიის უძველესმა მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ შეასრულა, რომელთანაც საქართველოს ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ტრადიცია და მოცემული პერიოდისათვის მჭიდრო საეკლესიო და დიპლომატიური თანამშრომლობა ჰქონდა.

მოხსენებაში განხილული გვაქვს XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოსა და ალექსანდრიის საპატრიარქოთა შორის არსებული ურთიერთობების ძირითადი ტენდენციები; საქართველოს ეკლესიის ბრძოლა ისტორიული უფლებების საერთაშორისო აღიარებისთვის და ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საკითხის ქართული ეკლესიის სასარგებლოდ გადაწყვეტაში.

ნინო ბოკელავაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ფშავ-ხევსურთა ადათ-წესებისა და ტრადიციების ბიბლიური საფუძვლები

ცნობილია, რომ ნებისმიერი ერის კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სარწმუნოება. ხშირ შემთხვევაში, სწორედ სარწმუნოებრივი დოგმატები ქმნიან სხვადასხვა სახის ყოფითი ჩვეულებისა თუ ტრადიციის საფუძველს. თუმცა გასათვალისწინებელია ერის მენტალობა და საზოგადოების დამოკიდებულება სარწმუნოებრივი დოგმების აღქმისადმი. როდესაც საზოგადოებაში მრწამსი შესისხლხორცებულია ჯანსაღ განსჯასთან, მაშინ ტრადიცია გათვითცნობიერებულია თავისი არსით და არ ეყრდნობა მხოლოდ წინაპართა ქცევით მემკვიდრეობას, მაგრამ თუ საზოგადოება მხოლოდ წინაპართა საკულტო რიტუალების ზედმინევენით ზუსტ შესრულებაზეა ორიენტირებული და არ განსჯის მის შინაარსს, მაშინ ამ გზას, დროთა განმავლობაში, ის უთუოდ მიჰყავს სხვადასხვა დოგ-

მატის მისეულ ინტერპრეტაციამდე. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, ინვესტს ტრადიციის დაშორებას მის საწყის, ნამდვილ საფუძვლებთან.

მოხსენების მიზანს წარმოადგენს ქართველ მთიელთა ყოფითი ჩვეულებებისა და ტრადიციების ბაზისური კვლევა, კერძოდ, მათი სარწმუნოებრივი საფუძვლები; „ძველი აღთქმის“ რჯული და პარალელები ფშავ-ხევსურთა ისეთ ტრადიციებთან, როგორებიცაა: ოჯახის შექმნის, „ხელი-მხარის განათვლის“, ხატისაგან ცოდვის „გამოსყიდვის“, სტუმარ-მასპინძლობის, სისხლის ალების, შაბათი დღის უქმედ დაცვის ტრადიციები და სხვა. აგრეთვე, საინტერესოდ მიგვაჩნია მსგავსებები ფშავ-ხევსურებთან და ძველალთქმისეულ სამართალს შორის, კერძოდ, დამნაშავის საზოგადოებისგან მოკვეთისა და ფიზიკური დასჯის (ჩაქოლვის) წესები. გამოკვლევა ეყრდნობა როგორც ბიბლიურ ტექსტებს, ფშავ-ხევსურების ტრადიციების ამსახველ თხზულებებსა და პუბლიცისტურ წერილებს, ისე სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებს.

ჩვენი დასკვნით, მთის ხალხის ყოფაში არსებული წესებისა თუ ტრადიციების დიდ ნაწილს საფუძველი სწორედ ძველალთქმისეული სარწმუნოებიდან აქვს. მტკიცეა და ურყევე მთიელთა ერთგულება ამ ტრადიციებისადმი, იმდენად, რომ მაცხოვრის განკაცების შემდეგ, მთელი რიგი ძველალთქმისეული დოგმების შეცვლის მიუხედავად, საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მცხოვრებნი მე-19 საუკუნეშიც აგრძელებენ მათ დაცვას. ხშირ შემთხვევაში იგი მორალური განსჯის გარეშე წინაპართა ქცევითი მემკვიდრეობის რეალიზებას გულისხმობს, რაც მთიელთა მსოფლმხედველობას, ზოგ შემთხვევაში, ამოწმებს ქრისტიანულ აზროვნებასთან. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მთელი თავისი არსით, ჰუმანურ პრინციპებზეა აგებული. სწორედ აღნიშნულის შედეგია მრავალი ტრადიციის ადგილობრივი, სხვადასხვა რელიგიური ფაქტორის გათვალისწინებით მიღებული ინტერპრეტაცია.

მზისა ბუსკივადე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოდერნიზაციის პროცესი და იდენტობის პრობლემა აჰმედ ჰამდი თანფინარის შემოქმედებაში (რომანები „სიმშვიდე“ და „დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი“)

თურქულ ლიტერატურაში მოდერნიზაციის პროცესი უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში ისტორიულად განვითარებულ პროცესებს. მე-19 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიის მიერ დავსაღეთისაკენ კურსის აღება იმ რეალობით იყო განპირობებული, რომელსაც აზროვნების რეგრესი შეიძლება ვუწოდოთ. აღნიშნული რეგრესი კი, არსებული ინტელექტუალური თუ ფიზიკური რესურსების ამოწურვას უკავშირდებოდა.

1839 წელს თანზიმათის ფირმანით ოფიციალურად გამოცხადდა ქვეყნის პროევროპული კურსი. მოდერნიზაციასთან დაკავშირებული პროცესი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხებოდა, იმავე საზოგადოების დუალიზმის მიზეზი გახდა. ლიტერატურაში მოდერნიზაცია როგორც ჟანრობრივი, ისე თემატურ-ესთეტიკური კუთხით გამოვლინდა. ფსევდომოდერნიზაციის საკითხს თანზიმათის პერიოდის მწერლების შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილი ეთმობა.

მოდერნიზაციასთან დაკავშირებული სირთულეები უფრო თვალსაჩინო რესპუბლიკის პერიოდის თურქულ ლიტერატურაში ხდება. აღნიშნული სირთულე თავს იჩენს არამხოლოდ, საზოგადოების, არამედ კონკრეტული ინდივიდის დონეზე. ყურადღების ცენტრი ინაცვლებს ისეთ საკითხზე, როგორიცაა ეროვნული იდენტობა. აღნიშნული საკითხი აჰმედ ჰამდი თანფინარის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. მწერლის შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა საზოგადოების დუალისტური განწყობა, რომელიც ეროვნული და ევროპული ღირებულებების კონფლიქტის შედეგია.

საანალიზოდ შერჩეული რომანები, ერთმანეთთან გარკვეული სახის მსგავსებას ამჟღავნებენ. ორივე რომანში ხაზგასმულია „ახალი დროის“, „ახალი იდეოლოგიის“ ნიადაგზე იდენტობის დაკარგვის საფრთხე. საფრთხე კი ერის წარსული გამოცდილების სრული უარყოფის და ევროპული ღირებულებების ბრმად გაზიარების შედეგია. რომანის პროტაგონისტები, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ტემ-

პორაღურ ტრიადას – წარსული, აწყო, მომავალი – უწყვეტ ჯაჭვად აღიქვამენ. ორივე რომანში არსებობენ პერსონაჟები, რომლებიც წარსულის საუკეთესო გამოცდილების, ტრადიციების, ღირებულებების მაგალითს წარმოადგენენ. მწერალი გარემოს აღწერით, დანგრეული, დაცარიელებული შენობების, ფერწასული და ავადმყოფი ადამიანების დახატვით საზოგადოებაში არსებულ რეალობას უსვამს ხაზს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეალობა ცნობიერების „ავადმყოფობა“ უფროა, ვიდრე ფიზიკური. რომანის, „სიმშვიდე“, მთავარი გმირი ახალგაზრდა, ევროპაში განათლებამიღებული ადამიანია, რომელიც გარესამყაროზე უფრო მეტად საკუთარ, შინაგან სამყაროზე კონცენტრირდება. იგი „დამნაშავეს“ ევროპაში არ ეძებს, საზოგადოების არაჯანსაღ ცნობიერებაში ხედავს პრობლემას. რომანის „დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი“ პროტაგონისტი, ჰაირი ირდალი, „ახალი დროის“ იდეებით მხოლოდ იმიტომ არის მოხიბლული, რომ მატერიალური კეთილდღეობა აქვს. რომანებში მკაფიოდ არის გატარებული აზრი, რომ მოდერნიზაციას საზოგადოების მზადყოფნა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგრესი გარდაუალა.

სალომე გეგეჭკორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტერმინი „გამოცანა“ ქართულსა და მეგრულში: სტრუქტურა და სემანტიკა

გამოცანა არის ზეპირსიტყვიერების ჟანრი, რომელიც საგანს ან მოვლენას პოეტურად, ნართაულად ახასიათებს, თვით ამ ობიექტის დაუსახელებლად გამოცნობის მიზნით. თავისი სპეციფიკით, მიზანდასახულებითა და გაჩენის ქრონოლოგიით გამოცანა ერთ-ერთია ზეპირსიტყვიერების ჟანრებს შორის, რომლის საწყისები უკავშირდება ადამიანის ცნობიერებაში გარესამყაროს აღქმას და ამ მიმართულებით აზროვნების დაწყებას. ქართულსა და მეგრულში გამოცანის ჟანრის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული, ძველი ქართული

¹ „კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [საგრანტო პროექტი MR-18-3142]“.

ენის მონაცემების გათვალისწინებით, მრავალფეროვნებით გამო-
ირჩევა. ქართული მასალა სტრუქტურულად შეიძლება იყოს:

- *ერთსიტყვიანი*

(1) „გამოცანა“, (2) „ახსნა“, (3) „იგავი“, (4) „გამოცანება“, (5)
„ამიცანა“

- *ორსიტყვიანი (შეისტყვება)*

(6) „ასახსნელი სიტყვა“, (7) „ქცეული სიტყვა“, (8) „დაფარუ-
ლი სიტყვა“, (9) „საცნაური სიტყვა“, (10) „ძნიად-საცნობელი
სიტყვა“, (11) „აღსახსნელი სიტყვა“, (12) „გასაქსნელი სიტ-
ყვა“, (13) „სათარგმანებელი სიტყვა“.

- *სამსიტყვიანი (მხოლოდ ერთი ტერმინია)*

(14) „ასახსნელნი ლექს-რკვეულნი სიტყვანი“.

რაც შეეხება მეგრულს, გამოცანის აღსანიშნავად ფრაზით
გადმოცემულ ერთ ტერმინს იყენებს: „ემოორე – მოორე“ (< „ე მუ
ორე, მუ ორე“, რაც ქართულად ნიშნავს: „ეს რა არის, რა არის“).
მიუხედავად სტრუქტურული მოდელებისა სხვაობისა, გამოცანის
აღმნიშვნელ ქართულ და მეგრულ ტერმინებში კარგად ჩანს თავად
გამოცანის დანიშნულება, ფუნქციური ღირებულება.

მოხსენებაში დასმული საკითხი **აქტუალურია** იმდენად, რამ-
დენადაც ტერმინების ანალიზს მივყავართ ჟანრის პერიოდიზაცი-
ის საკითხამდეც, რაც წარმოაჩენს მის სიძველესა და მნიშვნელო-
ბას.

მასალის ანალიზისას ვხელმძღვანელობთ აღწერით-სტატის-
ტიკური და შედარებით-კონტრასტული მეთოდებით.

სოფიკო გელიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

იდენტობის პრობლემა ჯუნა ბარნისის რომანში

„ქალთა აღმანახი“

იდენტობის ძიების პრობლემა მე-20 საუკუნის მოდერნისტულ
ლიტერატურაში ერთ-ერთ წამყვან თემას წარმოადგენს. ამ თვალ-
საზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ამერიკელი მწერლის,
ჯუნა ბარნისის რომანი „ქალთა აღმანახი“. 1928 წელს, საფრანგეთ-

ში გამოქვეყნებული ტექსტი აღწერს ნატალი კლიფორდ ბარნის პარიზულ სალონში არსებულ სიტუაციას, ატმოსფეროსა და მასში თავმოყრილ ელიტის წარმომადგენელ ქალბატონებს. რესტავრაციის ეპოქის ენით მოთხრობილი „ალმანახი“, ტრადიციული ალმანახის პაროდირებაა. „ალმანახში“ ნაჩვენებია 20-იანი წლების ბოჰემური ისტორიები შეეხება სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა, კერძოდ ლესბოსელთა პრობლემებს. მოხსენებაში განხილულია ნაწარმოებში ნაჩვენებ ქალთა იდენტობის ძიება, რაც ცდება მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციას და მიმართულია პიროვნების არსის ძიებისაკენ. იდენტობის ძიების პროცესში დიდ როლს თამაშობს გაორება, არაცნობიერის მოტივები და შინაგანი ბრძოლა ორსქესოვნებასთან, რაც ტირესიასის მითის ალუზიას იწვევს. მოდერნისტული ტექნიკის საშუალებით კი რაც ცნობიერების ნაკადის ტექნიკის გამოყენებას გულისხმობს, უარყოფილია ტრადიციული, სწორხაზოვანი თხრობა ადამიანის ცხოვრებისა და წინა პლანზე წამოწეულია პერსონაჟთა შინაგანი განცდები.

საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს არაერთი მკვლევარის მოსაზრება, რომელთა მიხედვითაც ტექსტი ეკუთვნის ლესბოსურ ლიტერატურას. ჩემი აზრით კი ნაწარმოების ცალსახად ამ კუთხით განხილვა დაუშვებელია, რადგან იგი მოდერნისტული ლიტერატურის ერთი-ერთი ურთულესი ტექსტია – როგორც სტრუქტურულად ისე შინაარსობრივად. კვლევის მეთოდების კუთხით, აღსანიშნავია დეკონსტრუქციის და ე.წ. „ქლოუზ რიდინგის“ მეთოდი (close reading), რომელთა გამოყენება პირდაპირ კავშირშია მოდერნისტული სამწერლო ტექნიკის გაანალიზებასთან. საკვლევი მასალის მოპოვება-დამუშავება კი მოიცავს როგორც სხვადასხვა მკვლევარის სტატიების გაცნობას, რომელთა შორისაა ზიგმუნდ ფროიდისა და ჰავლოკ ელისის ნაშრომები სექსუალობაზე, ისე პარიზული 20-იანი წლების ამსახველი ისტორიული ქრონიკების შესწავლას.

წარმოდგენილი კვლევის შედეგებში ასახულია ის ფაქტორები, რამაც გაამწვავა გაუცხოებისა და გაორების შეგრძნება ადამიანებში და გამოიწვია იდენტობის რღვევა: პირველ რიგში, ეს იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომი იმედგაცრუება, რამაც საფუძველი ჩაუყარა უნაყოფო ურთიერთობების ჩამოყალიბებას; ასევე, ამ პროცესში დიდი როლი ითამაშეს მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბებულმა ფსიქოლოგიურმა თეორიებმა და მოდერნისტ მწერალთა

მცდელობამ, რომ არქექტიპთა საშუალებით პერსონაჟებში გაელვინებინათ უძველესი დროიდან არსებული და მივიწყებული შეგრძნებები თუ ინსტინქტები. კვლევა აჩვენებს, რომ ჯუნა ბარნსი იდენტობის პრობლემის წარმოჭრით უპირისპირდება ადამიანთა ერთ კონკრეტულ ჩარჩოში მოქცევას და მხოლოდ ერთი სექსუალური იდენტობის არსებობას, რასაც გამოხატავს პაროდირებისა და მრავალფეროვანი მოდერნისტული დისკურსის საშუალებით.

ლილიანა გოგიჩაიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჯონ დონის სატრფიალო ლირიკა – ტრადიცია და ხატოვანება

მეტაფიზიკური პოეზიის მთავარი წარმომადგენლის – ჯონ დონის და მისი თანამოაზრეების შემოქმედება მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ თითქმის სამასი წლის განმავლობაში უგულვებელყოფილი და მივიწყებული იყო. მათ მიმართ ინტერესი 1910-იანი წლებიდან, ჰერბერტ გრიოსონის მიერ დონის ლექსების კრებული ოქსფორდში გამოქვეყნების შემდეგ განახლდა. ადამიანური არსებობისა და მდგომარეობის პარადოქსები, რომელთა გადაჭრას დონი თავისი პოეზიით ცდილობდა, დიდად არ განსხვავდებოდა იმ სირთულეებისგან, რომელთა წინაშე ორ მსოფლიო ომს შორის გაზრდილი თაობა იდგა. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრიდან ჯონ დონი, როგორც პოეტი, ხელახლა დაიბადა, მისი პოეზიით გამოწვეული ცხოველი ინტერესი კი დღემდე არ განელეზულა.

ჯონ დონის შემოქმედებაზე საუბრისას ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში, მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ხატოვანება და პოეტიკა იპყრობს. ნაშრომში გაანალიზებულია დონის სატრფიალო ლირიკაში წარმოდგენილი ძირითადი მხატვრული ხერხები და მათი გამოყენების გზები. სხვადასხვა ლექსის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია მეტაფიზიკური მახვილგონიერებისა და კონსიტის როლი დონის სატრფიალო ლირიკაში. გაანალიზებულია ბაროკოს, მანიეროზმისა და რენესანსის ეპოქებისთვის დამახასიათებელი ის ნიშან-თვისებები, რომელთაც განსაზღვრეს დონის ხელწერა. წარმოდგენილია ოვიდიუსისა და პეტრარკას ტრადიციის როლი დონის სატრფიალო პოეზიაში. ჯონ დონის სატრფი-

ალო პოეზიის ხატოვანებისა და ტრადიციის განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია დონის, როგორც ერთ-ერთი ნამყვანი ინგლისურენოვანი პოეტის როლი მეტაფიზიკური პოეზიის განვითარებაში.

ამ მეტაფიზიკოსი ავტორის ერთ-ერთი უპირატესობა მისი ინტელექტუალური და დახვეწილი ხელწერაა. ურთიერთგამომრიცხავი ცნებების გაერთიანებით იგი უნივერსალურ ჭეშმარიტებებს აღწერს და განიხილავს. დონის პოეზიაში ნამოჭრილი ადამიანური არსებობის სურთულებები და პარადოქსები კი თანამედროვე ეპოქის ადამიანისთვისაც გამოცანად რჩება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქართულმა აკადემიურმა სივრცემ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ინგლისურენოვანი მეტაფიზიკოსი ავტორების და ამ შემთხვევაში, კერძოდ, ჯონ დონის შემოქმედების შესწავლას.

ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა ლიტერატურულ კვლევას (Andreasen-John Donne. *Conservative Revolutionary*, Guss-Donne: *Petrarchist—Italianate Conceits and Love Theory in The Songs and Sonets*, Leishman- *The Monarch of Wit: An Analytical and Comparative Study of the Poetry of John Donne...*) და წარმოაჩენს ჯონ დონის, როგორც მთავარი მეტაფიზიკოსი პოეტის როლს ინგლისურენოვან ლიტერატურაში.

რუსუდან გოგობია

ევროპის უნივერსიტეტი

სოციალური მედიის როლი უცხოური ენის ათვისებისას

სოციალური მედია ენის შესწავლაში არის სასწავლო მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ინტერაქტიული სოციალური მედიის დაკავშირებას ენის შემსწავლელებთან. კვლევების მიხედვით, ენის სწავლება არის სოციალური და ინტერაქტიული, ასე რომ, ეს მეთოდი ხელს უწყობს სწავლას. სოციალური მედია სტუდენტებთან ერთად მშობლიურ ენაზე მოსაუბრეებთან ინტერაქციის საშუალებასაც იძლევა. ვიდეო, საინფორმაციო გამოშვებები და საუბრები ჯგუფებში ხელს უწყობს უცხო ქვეყნის კულტურული ასპექტების გაცნობას. ფორმალური და არაფორმალური სწავლების ინტეგრაცია ფორმალური ენის შესწავლის გაძლიერების გზაა. ასევე, სოციალური მედია შემსწავლელთა თვითრეგულირებადი სწავლის

მხარდასაჭერად პერსპექტიული მიდგომა აღმოჩნდა. ის ხელს უწყობს კომუნიკაციას და მომხმარებლებს შორის სწრაფი ურთიერთობის დამყარებას, ასევე ინფორმაციის გაზიარებას. შემსწავლელებს საშუალება აქვთ ერთმანეთს გაუზიარონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია თუ დავალება. უცხოური ენის სწავლებისას სოციალური მედიის გამოყენება წლების განმავლობაში ვითარდებოდა.

ცნობილია, რომ YouTube, ბლოგები, ფორუმები და ვიკიპედია ფართოდ გამოიყენება უცხოური ენის სწავლების დროს. ისინი ძირითადად გამოიყენება წერის პროცესის ხელშესაწყობად. სოციალური ქსელები, სხვადასხვა ბლოგი და ვიკიპედია მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს უცხოური ენის შესწავლის პროცესში. Facebook გამოიყენება როგორც წერის უნარის განვითარებისთვის, ასევე ონლაინ დისკუსიისთვის. უმრავლესობა YouTube-ს იყენებს ყოველდღიურად, ხოლო ვიკიპედიას ყოველკვირეულად. როგორც არაოფიციალური სწავლების ინსტრუმენტები, Facebook, YouTube და WhatsApp შესაძლოა აღიარებულ იქნეს უცხოური ენის სწავლების უპირატეს ინსტრუმენტებად. ყველაზე ხშირად გამოყენებული აქტივობები ჩამოთვლილი სოციალური მედიის საშუალებით არის მოთხოვნადი. ეს პლატფორმები უფრო შემსწავლელებს აკავშირებს ერთმანეთთან, ვიდრე სტუდენტსა და მასწავლებელს, რა გზითაც ისინი უზიარებენ ცოდნასა და გამოცდილებას ერთმანეთს. სტუდენტების მხრიდან მასალების მოპოვება და ერთმანეთში გაზიარება მეტყველებს მათ მაღალ კავშირზე სოციალური აქტივობების გაცვლის კუთხით. ისინი ცვლიან ინფორმაციას და სასარგებლო მასალებს, იყენებენ კრიტიკულ აზროვნებას, ცდილობენ სწავლისთვის აუცილებელი და საჭირო კურსების მოძიებას, იძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს და უზიარებენ ერთმანეთს ცოდნას. პედაგოგებმა ხელი უნდა შეუწყონ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდას, ცოდნის გაზიარებას ერთობლივი სწავლის თვალსაზრისით. სოციალური მედიის გავლენა ინგლისურენოვან სწავლებაში აღარ უნდა იყოს უგულვებელყოფილი.

თამთა გრიგოლია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კენეთ ვაითის გეოპოეტიკა და „ვეფხისტყაოსანი“

დასავლურ აზროვნებაში, ფილოსოფიაში, ლიტმცოდნეობასა და კულტუროლოგიაში დაახლოებით 1960-იანი წლებიდან დომინირებს რეფლექსიები სივრცის, როგორც კატეგორიის შესახებ. ეს მიმართულება ხშირად წარმოდგენილია spatial turn-ის სახელით (შემობრუნება, შემოტრიალება), რაც აერთიანებს სივრცესთან დაკავშირებულ უამრავ მოსაზრებას. ამ თეორიების მიხედვით, მთავარი, რითაც ტექსტის ფორმირება, ჩამოყალიბება ხდება, არის სივრცე – ის განსაზღვრავს შინაარსობრივ მხარეს, მეტაფორებს, პერსონაჟთა ხასიათებს და ა.შ.

სივრცის შესწავლის თანამედროვე ჰუმანიტარულ კონცეპტთაგან ჩემთვის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი არის გეოპოეტიკა და გეოპოეტიკის კონტექსტში ვეფხისტყაოსნისეული სივრცის განხილვა.

გეოპოეტიკა იკვლევს კულტურის და პირველ რიგში, შემოქმედებითი პროცესების ზემოქმედებას ადამიანური სამყაროს სტრუქტურისაზე. გეოპოეტიკის იდეა და კონცეპტი ეკუთვნის შოტლანდიელ მწერალსა და მკვლევარს კენეთ ვაითს. ვაითმა 1989 წელს გეოპოეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტიც კი დააარსა, რათა ხელი შეეწყო მრავალკულტურული და ტრანსდისციპლინური კვლევებისათვის, რაზეც წინა ათწლეულის განმავლობაში მუშაობდა. ვაითის მიხედვით, გეოპოეტიკა იწყება იქ, როცა რაღაცის შესაძლებლობას ვუშვებთ. მისგან განსხვავებით, გეოპოლიტიკა არის რეალური სივრცე, ის რაც რუკაზეა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გეოპოეტიკა არის რეალური სივრცის „ახლიდან დანერა“. ტექსტი ამ შემთხვევაში შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სამყაროს ალტერნატიული რუკა, ვგულისხმობ, მწერლის მიერ ტექსტის ფარგლებში შექმნილ ე.წ. ტექსტუალურ სივრცეებს, სივრცე-ტექსტებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გეოპოეტიკა არის პოეტური გეოგრაფია. ადგილს/სივრცეს ამ შემთხვევაში აქვს თავისი იდენტობა, შინაარსი, მეხსიერება. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური.

ტექსტის გეოპოეტიკურ ქრილში განხილვისას ამოსავალი ნერტილი არის სივრცე, ის არის უმთავრესი კატეგორია. ტექსტუალური სივრცე შესაძლოა იყოს რეალური (ანუ რეალურად არსებული), გამოგონილი (ე.წ. ფანტაზიური, ზღაპრული, უტოპიური) ან რეალური, მაგრამ ამ კონკრეტული ადგილისათვის არადამახასიათებელი შტრიხებით, გადამუშავებული სახეებით, რაც აღარ არის რეალურის იდენტური. გეოპოეტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა ტერიტორიების კულტურული თვითდამკვიდრება, რასაც ე.წ. „გეოპოეზისის“ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. ამის გამოხატულებაა მწერლის მიერ ქალაქების, სხვადასხვა ადგილის სასურველ ტერიტორიაზე შექმნა ტექსტის ფარგლებში, ანუ მწერლის მიერ იქმნება ე.წ. ტექსტუალური სივრცეები.

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ძალიან აქტუალურია ძველი ტექსტების კვლევა ტექსტის ანალიზის თანამედროვე მეთოდებით, რაც, ხშირ შემთხვევაში, მკვლევრებისთვის საინტერესო შედეგების მიმცემია. ამ კუთხით, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია *ვეფხისტყაოსნის* ტექსტი, რომელსაც სივრცული მრავალფეროვნება ახასიათებს. როგორც აღვნიშნეთ, გეოპოეტიკური სივრცეებისათვის დამახასიათებელი თავისებურება არის იდენტობა, მეხსიერება და შინაარსი. ამ კონტექსტში პოემიდან მნიშვნელოვნად საინტერესოდ მიმაჩნია ორი სივრცე – ქაჯეთის ციხე და დევთა გამოქვაბული. გამომდინარე იქიდან, რომ ბოროტება და სიკეთეც, რომელთა მონაცვლეობა და ბრძოლა ქმნის პოემის სრულყოფილ სიუჟეტს, იდენტობის ერთგვარი გამოხატულებაა, საინტერესოა ამ ადგილების, როგორც სიკეთისა და ბოროტების სივრცეებად გააზრება. დევების გამოქვაბული, რომელიც, ტრადიციული აღქმით, თუ ფოლკლორში დამკვიდრებული წარმოდგენით ბოროტების საგანე უნდა იყოს, იქცევა მეგობრობისა და სიკეთის სივრცედ (ირლვევა სივრცის გააზრების ტრადიციული აღქმა), სწორედ იქ აღმოჩენილი „სამი ტანი აბჯარი“ დაეხმარება გმირებს პოემის ბოროტების სივრცის – ქაჯეთის ციხის დამხობაში.

ვფიქრობ, პოემის გააზრება აღნიშნული კონცეპტის დისკურსში იქნება მნიშვნელოვნად ახლებური ხედვა არა მარტო პოემის კვლევის ისტორიაში, არამედ, ზოგადად, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში და კიდევ ერთი წინ გადადგმული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი, თანამედროვე მსოფლიოში *ვეფხისტყაოსნის* ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

მარიამ გურგენიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ქრისტიანობის გავრცელება დანიაში და შვედეთში წმინდა ანსგარის მოღვაწეობის აღწერის ანალიზის საფუძველზე

კვლევა უკავშირდება სკანდინავიურ საზოგადოებას, შუა საუკუნეების, უფრო კონკრეტულად, ვიკინგების ეპოქაში (VIII-XI სს). მოცემულ შემთხვევაში განვიხილავ სკანდინავიის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელებისა და მისიონერთა მოღვაწეობის საკითხებს.

თანამედროვე ეპოქაში სკანდინავიის ქვეყნებისადმი მზარდი ინტერესი სულ უფრო აქტუალური ხდება. აღნიშნული ქვეყნები დღეს განვითარების მოდელს ქმნიან თანამედროვე სახელმწიფოებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის.

სკანდინავიის ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყნების სიის სათავეში დგანან: ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით, სოციალური მიღწევებით, განათლების მაღალი ხარისხით და ა.შ.

ბუნებრივია, აღნიშნული პროცესების დასაწყისი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში განვითარებული ისტორიული მოვლენების წიაღში უნდა ვეძებოთ, როდესაც ყალიბდება სამეფოები სკანდინავიის ტერიტორიაზე, ვრცელდება ქრისტიანობა, რამაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა აღნიშნული სამეფოების ცივილიზებულ სამყაროსთან კომუნიკაციას.

ამდენად, შუა საუკუნეების ეპოქაში განვითარებული პროცესების შესწავლის გარეშე რთულია ზემოხსენებული მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა და, შესაბამისად, მისი მნიშვნელობა უდავოდ დიდია.

კვლევის მიზანია შუა საუკუნეების ევროპის ისტორიის, კონკრეტულად, სკანდინავიურ სამეფოებში ქრისტიანობის გავრცელების საკითხების შესწავლა დასავლეთ ევროპელ მემკვიდრეთა, მოგზაურთა ნაშრომების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნული საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ სამეცნიერო სივრცეში და მის მიმართ ინტერესი სავსებით ლოგიკურია.

მოცემულ შემთხვევაში კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდების ერთობლიობა: ემპირიული მასალის სტრუქტურირება, დაკვირვება, აღწერა და შედარებითი ანალიზი.

შუა საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწის, სასულიერო პირის, ჰამბურგ-ბრემენის ეპისკოპოსის (IX ს.), ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად წოდებული რიმბერტის ნაწარმოები „ანსგარის ცხოვრება“ აღნიშნული ეპოქის შესწავლისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ეპისკოპოს ანსგარის მოღვაწეობა პირდაპირაა დაკავშირებული ჩრდილოეთის ქვეყნებში ფრანკთა სამეფოს დიპლომატიურ პოლიტიკასთან. წმინდანის მოღვაწეობის აღწერის ფონზე ნაწარმოებში გვხვდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკანდინავიის მოსახლეობის ყოფითი, კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რიმბერტი იყო ანსგარის მონაწევე, მისი თანაშემწე და ჩრდილოეთში ქრისტიანული მისიის აქტიური მონაწილე. შესაბამისად, ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილე. ცხადია, ამ გარემოებებმა დიდწილად განსაზღვრა წყაროს სანდოობა და მისი მნიშვნელობა.

ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს სკანდინავიური საზოგადოების წარმართულ რწმენასთან, მათ ადათ-წესებთან შედარებით ქრისტიანული რელიგიის უპირატესობას. შესაბამისად, ფრანკთა იმპერატორის, ლუი ღვთისმოსავის დიპლომატიური პოლიტიკისა და წარმართთა გაქრისტიანების იდეის კეთილშობილებას.

ნათია ზოიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

დროის საკითხი ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“

ვირჯინია ვულფის ყველა რომანში ექსპერიმენტული დროა გამოსახული. ალბათ მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ „ტალღები“ მისი ყველაზე ექსპერიმენტული რომანია, რომელშიც დრო ხდება არა მარტო მოდერნისტული ცხოვრების გადმოცემის იარაღი, არამედ თავად ფორმაც. ვულფი გვთავაზობს განსხვავებული „დროების“ სახეებს, რომლებსაც რომანში სხვადასხვა გმირი ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ცხოვრება სწორხაზოვანი პერსპექტივის ჩარჩოთია

გადმოცემული, მათი რეალობის შინაგანი ალქმა არ ემორჩილება გარეგანი (ობიექტური) სამყაროს რითმს. მკითხველი ხდება მოქმედი გმირების განსხვავებული დროებისა და პერსპექტივების თანამგზავრი. იმისათვის, რომ ვულფმა შეინარჩუნოს გარეგანი და შინაგანი რეალობის დაყოფა, გამუდმებით აფხიზლებს მკითხველს სიტყვა „ახლას“ მრავალჯერადი გამოყენებით, რაც წინააღმდეგობრივია, რადგან სიტყვები „ახლა“, „აქ“ მწვავე ფილოსოფიური დებატების ობიექტია. ვულფის მთელი რომანი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც პასუხის ძიების მცდელობა.

რომანის სტრუქტურული სიახლე გამოიხატება იმაშიც, რომ ცნობიერების ნაკადის ტექნიკის მიღმა ვულფი გვთავაზობს რომანის სამნაწილიან დაყოფას. სამი ნაწილი შეესაბამება დღის სამ მოწვევას.

მოხსენებაში განხილულია თითოეული გმირის დრო და გადმოცემულია მათი დამოკიდებულება დროის საკითხის მიმართ, ხოლო შემდეგ ეს მიდგომები შედარებულია სუბიექტური დროის თეორიებთან. მაგალითად, ანრი ბერგსონის „ხანიერებასა“ და ვალტერ ბენიამინის „ერთგვაროვანი დროის“ იდეებთან. დასკვნის სახით შეჯამებული და დადასტურებულია ზემოხსენებული იდეების გამოყენების შემთხვევები ვირჯინია ვულფის რომანებში.

მოხსენებაში განხილული პრობლემა იმ სადოქტორო ნაშრომის ნაწილია, რომელიც იკვლევს „დროის პრობლემას ვულფის შემოქმედებაში“.

თინათინ თვალჭრელიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჯემალ ქარჩხაძის რომან „მდგმურის“ ჰერმენევტიკული ნაკითხვისათვის

მოდერნიზტული მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია რეალობასა და წარმოსახვას შორის ნაშლილი ზღვარი. „შეიძლება კაცის ცხოვრება ცხოვრება კი არაა, მიჯნაა, ამიტომაც ახლავს ამდენი ტკივილი“. კავშირი მიღმიერ სამყაროსთან უმთავრესად წარმოსახვითია, მაგრამ შთამბეჭდავი. ეს წამიერი „მიხედრა“, „მიახლოება“ ერთგვარი გაგებისა და გააზრების ესთეტიკურ ილუზიას ქმნის ეგზისტენციალური შიშის სანაწილად-

მდეგოდ. ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება უმეტესად ფრაგმენტულად არის შესწავლილი. გვხვდება მისი ტექსტების ბიბლიური კონცეპტებითა და ისტორიზმის პრინციპით კვლევა. ასევე საინტერესოა იგავის, როგორც მიკროსქემის, მხატვრული ტრანსფორმაციის ძიება ქარჩხაძის შემოქმედებაში. მწერლის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხედვის განხილვისას კრიტიკოსთა მიერ მეტადაა მოხმობილი ბიბლიური ასპექტები.

ჩვენი კვლევის მიზანი კი მოდერნისტული მარკერების ამოცნობა და **ჰერმენევტიკული** საინტერპრეტაციო მოდელით ტექსტების შინაგანი და გარეგანი ლოგოსის ძიებაა. ფილოსოფიურ-ეგზისტენციალური ნაკითხვით მხატვრული ტექსტის ემპირიულ მასალას წარმოადგენს რომან „მდგმურის“ პირველსაზრისის წვდომა. ყოველ ხერხსა და საშუალებას, მაგალითად, სახისმეტყველებით აზროვნებას, სიმბოლოებს, თავად ავტორისეულ კომენტარებსა და მოსაზრებებს ტექსტთან დაკავშირებით, მხატვრულ ენას, ესთეტიკურ-იდეოლოგიურ და ონტოლოგიურ ზედნაშენს გამოვიყენებთ, რათა დავადგინოთ ტექსტის პირველსაზრისი, განვსაზღვროთ „მთელი“, ამასთან, მთელისა და ნაწილის მუდმივი ურთიერთმიმართება.

რომან „მდგმურში“ გვხვდება მოდერნისტული პროზის სამმაგი კრიზისის მახასიათებლები: შემეცნების, სუბიექტურობისა და ენის კრიზისი. მდგმურს უჭირს არსებულ რეალობასთან რაციონალური თანაარსებობა. რომანის პირველივე თავია „მეტამორფოზა“. გმირის ანთროპოლოგიურ არსში დომინირებს არაცნობიერი ფსიქიკა („მრავლობითობა“, ნიცშე). გმირი ხან სიზმრით, ხან ოცნებით, ზოგჯერ წარმოსახვით, ინაცვლებს სხვა სამყაროში, მაგალითად, ნილოსის სანაპიროზე. ასევე, მწერლის ენა, რომელიც არასოდროს არის თვითკმარი მოცემულობა, პერსონაჟის ორგანული აღწერისთვის დამახასიათებელია შინაგანი მონოლოგი და განცდილი მეტყველება.

მიგვაჩნია, რომ „მდგმური“ ეს არის მოდერნისტული ტექსტი. მისი პირველსაზრისია მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის ეგზისტენციალური ძიების, გამოუვალობის, დაეჭვების ჩვენება. იგავური ენით არსებული მსოფლმხედველობრივი ორიენტირების რღვევა, ირაციონალური ანთროპოლოგიური არსით საკუთარ თავთან და სამყაროსთან მუდმივად გაუცხოება, ამასთან, საკუთარი აბსოლუტური ნების რეალიზება, ერთგვარი პიროვნული დეზორიენტირება და სულიერი კატარზისი.

ნათია იაკობიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული ჟარგონის საკითხი ქართულ ენაში

პროფესიული ჟარგონი ამა თუ იმ პროფესიულ ჯგუფში გამოიყენება და ამ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას გამოხატავს. მასში ასახულია საერთო ინტერესები, მისწრაფებები, თავისებურებანი.

პროფესიული ჟარგონის განვითარებას ხელს უწყობს ტექნოლოგიის განვითარება, ახალი დარგების შექმნა. ჟარგონიზმების დიდი ნაწილი მიიღება სესხებით ან მნიშვნელობის გარდაქმნის გზით – მნიშვნელობის ცვლით, მეტაფორიზაციით.

მოხსენების მიზანს წარმოადგენს საქართველოში შედარებით ახალ მიმართულებაში, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში, დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულების ანალიზი.

ბოლო პერიოდში, როდესაც გახშირდა ინტერდისციპლინური კვლევები, პროფესიული ჟარგონის აღწერა ენაში დიდ დატვირთვას იძენს. ეს არა მხოლოდ იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ერთი პროფესიის მკვლევარმა შეძლოს მეორე პროფესიის მკვლევრის ნაშრომის შინაარსის სრულყოფილი გაგება, არამედ აუცილებელია სისტემატიზებული იყოს და დაკანონებული სახე მიეცეს იმ ლექსიკას, რომელიც ენაში გამოიყენება.

რთული დასადგენია სად გადის ზღვარი პროფესიულ ჟარგონსა და ბარბარიზმს შორის. თუ პროფესიული ჟარგონის განვითარება ენას ამდიდრებს, ბარბარიზმი ენის დანაგვიანებას უწყობს ხელს. ამიტომ, ახალი ტერმინის დამკვიდრებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. მაგალითად, ბოლო პერიოდში ქართულში გვხვდება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა ნარჩენების სეპარაცია/ნარჩენების სეპარირება. სეპარაცია/სეპარირება მომდინარეობს ინგლისური სიტყვისაგან *separation*, რაც ნიშნავს გამოყოფას, განცალკევებას, განშორებას, გაყრას. ინგლისურში *waste separation*-ის გვერდით გვხვდება აგრეთვე ტერმინი *waste sorting*. ორივე მათგანი ქართულად აღნიშნავს „ნარჩენების დახარისხებას“. ასევე, ტერმინი „ნარჩენების ინსინერაცია“, რომელიც მომდინარეობს ინგლისური სიტყვისაგან *incineration* (ნიშნავს განადგურებას დანვით, კრემაციას). ნარჩენების ინსინერაცია არის ნარჩენების დანვა.

ჟარგონის შექმნაზე მოქმედებს ტექნოლოგიების განვითარება,

რაც შემოკლებისადმი მიდრეკილებაშიც გამოიხატება, ხოლო ამის შედეგად დამკვიდრდა ბევრი აბრევიატურა.

ყველა დარგს საკუთარი ტერმინოლოგია გააჩნია, მაგრამ როდესაც პროფესიული ჟარგონი აკადემიურ ტექსტებში გამოიყენება, იგი აუცილებლად უნდა განიმარტოს. აკადემიურ ნაშრომებში პროფესიული ჟარგონის გამოყენება განმარტების გარეშე: 1) შესაძლებელია გახდეს შინაარსის ბუნდოვანების მიზეზი; 2) ამა თუ იმ ნაშრომის შედეგების გამოყენებას აფერხებს ინტერდისციპლინურ კვლევებში.

პროფესიული ჟარგონის გამოყენება აკადემიურ ტექსტებში, ერთი მხრივ, ენის გამდიდრების საშუალებაა, რადგან ამით ენაში ახალი ლექსიკური ერთეულები მკვიდრდება, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს ენის დანაგვიანების საფრთხესაც. ამიტომ, ენაში ახალი ლექსიკური ერთეულის დამკვიდრებისას უდიდესი სიფრთხილეა საჭირო.

ნათია კენჭიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში

წინამდებარე კვლევის მიზანია წარმოაჩინოს ქართულ მჭევრმეტყველებაში არსებული თარგმანები, შეაფასოს იმ კუთხით, თუ რომელ დარგებში მოგვეპოვება ამგვარი ნიმუშები, რომელ ენებზეა ისინი შემონახული, რა მიზეზები განაპირობებდნენ მჭევრმეტყველების ძეგლების თარგმნას, ანდა, პირიქით, სხვა ენაზე მათ ჩაწერას.

ზოგადად, ქართული მჭევრმეტყველებითი ტექსტების დახარისხება შეგვიძლია როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროდან მომდინარე რესურსებად, რომლებიც, თავის მხრივ, არა ქართულ, არამედ სხვადასხვა უცხო ენაზე (ძველბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე) დაწერილ ტექსტებადაა შემონახული.

ცნობილია, რომ ქართული მჭევრმეტყველება იცნობს როგორც ორიგინალურ ნიმუშებს, ისე თარგმანებს. ყველაზე მეტი თარგმნილი ნიმუშები მოგვეპოვება სამქადაგებლო მჭევრმეტყველების, იგივე ჰომილეტიკის დარგში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის არის ქართული მჭევრმეტყველების ორგანული შემადგენელი ნაწილი.

ქართული მჭევრმეტყველების თარგმანების კვლევას არცთუ დიდი ადგილი უკავია ქართულ სამეცნიერო სივრცეში. საკითხის

შესწავლის ისტორიის მხრივ, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები არაა ინტენსიურად განხილული და გაანალიზებული ქართულ მეცნიერებაში.

დასასრულ, რომ შევაჯამოთ კვლევის შედეგები, აღმოჩნდება, რომ ქართული მჭევრმეტყველება მდიდარია თარგმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშებით, რასაც სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი განაპირობებდა.

მაია კვირკველია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ტროპული მეტყველება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების პოეზიაში

